ოთველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 4 15 ივნისი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: რა არის ნაცია? **ონ—ისა.**—სამეცნიერო საუბარი, **ივ. გომართელისა.**—სხვა-და-სხვა ამბები ჩვენში, რუსეთში, უცხოეთში.—არ დამივიწყოთ (ლექსი), **ქნარისა.**—სახალმწიფო დუმა. —როდემდის?! (ლექსი), **ალ. გერასიმიძის.**—ცოტა რამ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე, **ლავ. მეტრეველის.**—Pro domo sua, **ლ. დ.**—პროვინცია.—მუშათა შორის.—საზღვარ-გარეთ (ქალების მანიფესტაცია საარჩევნო უფლებისათვის ლონდონში), **დიონეოსი.**—განცხადება.

II. რა არის ნაცია?

2.

სხვა-და-სხვა თეორიები და შეხედულებანი.

მკითხველს ალბათ ეცოდინება ის შეხედულება, რომლის თანახმათ ნაცია ეწოდება იმ ადამიანთა კრებულს, ვისაც აერთებს და აკავშირებს **შეგნება**, რომ ისინი შეადგენენ ერთს და იმავე ნაციას. ეს არის ნაციის პსიხოლოგიური თეორია, რომელიც ბევრ სწავლულისაგან დღესაც საუკეთესოთ არის მიჩნეული. ამ თეორიის სისუსტეს უკვე გვაფიქრებინებს ის საკითხი, რაიც უმალვე გვებადება: განა ნაციონალური შეგნება არსებობს ყოველთვის და ანუ ყველა იმათთვის, ვინც შეადგენენ ნაციას? აი ამ უკანასკნელზე რას გვატყობინებს ავსტრიელი სწავლული გუმპლოვიჩი: „გაუნათლებელ მასსას*) არსად ასეთი შეგნება არ მოეპოვება, წმინდა და ნამდვილ ნაციონალურ შეგნების უნარი მას არა აქვს, იმას მხოლოთ ის გაგება შესწევს, რომ იგი ეკუთვნის საერთო ჩამომავლობას და ან საერთო სარწმუნოებას: მაღალი ლსწორე ნაციონალური გრძნობა, რომელიც იგულისხმებს კულტურულ განვითარების განსაზღვრულ სიმაღლეს, იმისთვის უცხოა ყველგან და ყოველთვის“. „გაუნათლებელი მასსა კი თითქმის დღესაც შეადგენს ნაციის უმრავლესობას. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ვითარება შეცვლილია, ე. ი. განსაზღვრული განათლება მოეფინა ხალხის ფართე მასასაც და ეს უკვე ასეც ხდება დაწინაურებულ ქვეყნებში; იქ ხალხის ფართე მასა უკვე ძალუმათ იმსჭვალება ნაციონალური თვით-შეგნებით. მარა რაღა უნდა ითქვას წარსულზე; განა დღევანდლამდე, ისტორიის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ასეთი ნაციონალური შეგნება, განა არც თვითონ ნაცია არსებობდა? თუ კი ვერწმუნებოდით აღნიშნულ თეორიას, იძულებული გავხდებოდით გვეთქვა—არა, არ არსებობდა, რაიც იქნებოდა აშკარა შეუსაბამობა. აქედან, ამ უხერხულობიდან ერთგვარ გამოსასვლელს იძლევა **ანი**, რომელიც რამოდენათმე ემხრობა აგრეთვე აღნიშნულ პსიხოლოგიურ თეორიას. მისი აზრით ერი არსებობდა წარსულშიაც, ისე როგორც არსებობს დღესაც, მაგრამ წარსულში არა ყოფილა ეროვნება, რადგან არ ყოფილა „ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, მრეწველობა, მიმოსვლა, თანამედროვე მოქალაქობრივი ცხოვრება“, რაიც ერთათ ერთი მიზეზია ეროვნების წარმოშობისა. „ყველა ერი, მიუხედავათ მისი

*) Unqebildate Masse.

პოლიტიკური წარსულისა, რომელიც ადგება სამრეწველო გზას, ადრე თუ გვიან ხდება ეროვნებათ“ („ცხოვ. სარკე“ №18). ასე რომ შეიძლება არსებობდეს ერი, ნაცია, მაგრამ ეროვნების ნატამალი, სახსენებელიც კი არ მოიპოვებოდეს. რას ნიშნავს ეს უცნაურობა? ანი განგვიმარტავს: „რას ეწოდება ეროვნება? ეროვნება და ერი ერთი და იგივე მცნების გამოხატულება არ არის. პირველი ეხება უფრო შეგნებას, პსიხიურ მოვლენას, მეორე კი რასიულს, ობიექტივურს. ხალხი ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთ ტერიტორიაზე მოსახლე, ერთი ზნე-ჩვეულებით, კულტურით და სხ. წარმოადგენს ერთ ერს... ეროვნება კი ეწოდება ამ ერის ისეთ მდგომარეობას, როცა ის გრძნობს თავის თავს, როგორც ერთ მთელს, ერთი ჭირით და ლხინით გარემოცულს, ერთი მიზნისათვის ამოძრავებულს. შეიძლება მიზანი არც კი იყოს ნაციონალური, მარა თუ მთელი ერი ამ საქმისათვის ერთათ გამოდის— ის უკვე ეროვნებაა, გაერთიანებული ერია“. (იხ. იქვე „ზღაპარი პირველი“). ანი იღებს ერის ისეთ განვითარებას, როცა უკვე არსებობს სწორეთ ის პსიხიური ერთობა, რასაც ეწოდება ნაციონალური თვითშეგნება. აქ მას სახეში არა აქვს ისეთი მდგომარეობა, როცა ერი მხოლოთ დროებით, ერთი მომენტით იმსჭვალება ერთი აზრით და გრძნობით და ერთი მიზნისაკენ მიმართავს თავის ძალ-ღონეს. ასეთი დროებითი გაერთიანება შესაძლებელია მოხდეს ყოველ ეპოქაში, ერის განვითარების ყოველ საფეხურზე. ასე მაგ. თვით შორეულ წარსულში, განვითარების თვით უმდაბლეს საფეხურზე ზოგჯერ მთელი ერი ერთათ გამოდიოდა საერთო საქმისათვის, როცა მას კარზე მოადგებოდა ძლიერი, გარეშე მტერი და ან როცა ბუნებასთან ბრძოლის დროს უხდებოდა რაიმე ბუმბერაზული მუშაობის შესრულება; მაგრამ რა წამსაც გარეშე მიზეზები იკარგებოდა, ერის გაერთიანებაც იშლებოდა. ანის მიერ აღებულ შემთხვევაში კი პსიხიური ერთობა არის მუდმივი და განუწყვეტელი. ხოლო ასეთი ერთობა კი მუშავდება მხოლოთ ჩვენს დროში; მისი პროცესი ჯერაც არ არის დამთავრებული. და მერე ნუ თუ დღევანდლამდე ეროვნება არ არსებობდა? ანი გვეუბნება: არა, არ არსებობდაო, იყო მხოლოთ ერი, ეროვნება კი დღეს, კაპიტალიზმის ეპოქაში იბადებაო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ტერმინების „ერი“ და „ეროვნება“ ასეთი ხმარება, როგორცა შვრება ანი, სრულიად შეუწყნარებელია. ეს ტერმინები ისევე შეეწონებიან ერთმანეთს, როგორც მაგ. სიტყვები: „კაცი—კაცობა, ადამიანი —ადამიანობა, ქართველი —ქართველობა და სხ. ვინ არ იცის, რომ სიტყვები დაბოლოებული „ებაზე“ თუ „ობაზე“ აღნიშნავენ საგნისა თუ მოვლენის რაობას ან ვინაობას. თუ არსებობს ესა თუ ის საგანი, უეჭველია არსებობს მისი დამახასიათებელი თვისებებიც. მაშასადამე ყოველთვის და ყოველგან, საცა კი არსებობს ერი, იქ უეჭველია არსებობს ეროვნებაც, რადგან პირველი მეორის აუცილებელი მატარებელია.

თქმა არ უნდა, რომ ერი იცვლება ისტორიის განმავლობაში, იგი სხვადასხვაგვდება განვითარებასთან ერთათ, მარა თეორიის უნარიც სწორეთ ის უნდა იყოს, რომ ამ სხვა და სხვაობაში აღმოაჩინოს ერთგვაროობა, მოგვცეს ისეთი კრიტერიუმი, რომელიც ნაციას შეგვაგნებინებდა, როგორც ერთსა და იმავე, მაგრამ მუდმივ ცვალებად მოვლენას, აგვიხსნიდა, რომ თუმცა მაგ. ფეოდალურ ეპოქის ნაცია დიდათ განსხვავდება კაპიტალისტურ ეპოქის ნაციიდან, მარა აქაც და იქაც ჩვენ წინ ერთი და იგივე მოვლენაა, წოდებული ნაციათ. აღნიშნული თეორია კი იძლევა ისეთ კრიტერიუმს, რომელიც სრულებით არ უდგება ფეოდალურ ეპოქისა და კიდევ წინა დროების ნაციას. როგორც უკვე ზევითაც შევნიშნეთ, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ნაციას არ მოეპოვება ის პსიხიური ერთობა, რასაც ეწოდება ნაციონალური შეგნება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ცხადია, რომ პსიხოლოგიური თეორია არ არის მისაღები.

ამ თეორიას აქვს კიდევ მეორე შტო, რომელიც თავის სისტემის ქვა-კუთხედათ იღებს სურვილ-ნებას.*) ამ შეხედულებით ნაციას წარმოადგენს ხალხი, რომელსაც აერთებს სურვილი ერთათ ყოფნის, ერთათ დარჩენის და ერთათ ცხოვრების. მკითხველმა არ უნდა გაიკვირვოს ნაციის ასეთი განმარტება. უნდა გვახსოვდეს, რომ განვლილ საუკუნეთა განმავლობაში ნაციები გაშმაგებით იმიჯნებოდენ ერთი ერთმანეთისაგან, აწარმოებდენ ცხარე ბრძოლას საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრების მოსაპოებლათ. ყოველ ნაციას თავის საკუთარი „სახელმწიფოვო!“ საერთო ლოზუნგათ გადაიქცა. მოხდა გერმანიის გაერთიანება, იტალიის გაერთიანება, პოლონეთის აჯანყება საკუთარ სახელმწიფოს აღსადგენათ, საბერძნეთისა და ბალკანეთის სხვა წვრილ ერების ოსმალეთისაგან განთავისუფლება და ცალკე სახელმწიფოებათ გამოცხადება და სხ. და სხ. ყველა ეს, რა თქმა უნდა, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე და აი იმ დროის სწავლულებმაც დაასკვნეს, რომ მისწრაფება დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებისადმი, სურვილი საკუთარ სახელმწიფოში ცხოვრების შეადგენს ნაციის ნამდვილ ბუნებრივ მისწრაფებას, მის ნიშნობლივი დამხასიათებელ თვისებას, იგია მისი შემადგენელი არსებაო.**)

მაგრამ თუ გავყვებით ამ შეხედულებას, ეჭვი არ არის, კვლავ დიდ შეუსაბამობას მივადგებით. ყველამ იცის, რომ დღეს მაგ. რუსეთის სახელმწიფოში არც ერთი ნაცია აღარ ესწრაფის განცალკევებას, საკუთარ სახელმწიფოს დაარსებას; პირიქით, ყველა აქ მცხოვრები ერები მსურველნი არიან დარჩნენ საერთო სახელმწიფო ჩარჩოში. და ამასთანავე კი რუსეთის ერები არამც თუ ერთმანეთში არ ილესებიან და ერთ ნაციას არ შეადგე-

*) ნება-სურვილი ევროპიელ ენებზეა „ვოლონტე“, აქედან ამ სისტემასაც ეწოდება პსიხოლოგიურ—ვოლონტრისტული, პირველს კი რომელიც ემყარება შეგნებაზე, ინტელექტზე—პსიხოლოგიურ-ინტელექტუალისტური.

**) იხ. მაგ. რენანის Qu' est-ce qu' une nation (რა არის ნაცია?) თუ არ ვცდები, გადათარგმნილია ქართულ ენაზე.

ნენ, არამედ, პირიქით, რაც დრო მიდის, იმდენი უფრო მეტის ენერგიით იბრძვიან თავ თავიანთ ეროვნულ არსებობის დასაცავათ. შეიძლება გვითხრან, რომ აქ ნაციები მსურველნი არიან ერთად დარჩენის, ერთ სახელმწიფოში ცხოვრების, მხოლოთ იმიტომ, რომ „ძალა აღმართსა ხნავს“, რომ არც ერთ აქ მცხოვრებ ნაციას არ შესწევს ლონე ცალკე გასელის და ცალკე სახელმწიფოს დაარსებისა. ეს შენიშვნა სრულებითაც არ არის უსაფუძვლო. მაგრამ აი ავიღოთ შვეიცარია ან ბელგია. ორივე სახელმწიფოში ხალხი უკვე ნება-ყოფლობით, თავისუფალი სურვილით ცხოვრობენ ერთათ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ერთ ნაციას კი არ შეადგენენ. ბელგიაში ორი ნაციაა —ფლამანცლები და ვალონები; შვეიცარიაში არიან ფრანგები, გერმანელები, იტალიელები. აშკარაა, რომ არც ეს, სურვილის თეორია ყოფილა მისაღები.

არც ეს და არც პირველი შეხედულება, რომელიც ემყარება ნაციონალურ შეგნებაზე, არ არის მისაღები კიდევ იმ ზედ-მეტი მოსაზრებით, რომ არ გვეუბნება, თუ საიდან მომდინარეობს ერთ და იმავე ნაციის ადამიანთა ერთათ ცხოვრების სურვილი, არ გვეუბნება, თუ რა იწვევს ამ ადამიანებში გრძნობასა და შეგნებას, რომ იგინი შეადგენენ ერთ ნაციას. ერთის სიტყვით პსიხოლოგიური თეორია სრულებითაც ვერ გვიხსნის, თუ რა არის ნაცია.

დაგვრჩა აღსანიშნავი ასე წოდებული მეტაფიზიკური თეორია, რომელიც არა კმაყოფილდება ნაციის ამა თუ იმ განსაკუთრებულ პსიხიურ თვისებების შესწავლით და ეძებს მიზეზთა მიზეზს. ამ გვარ მიზეზათ მას გამოაქვს სული, რომელიც ბადებს ყოველგვარ მოვლენათ და ამოძრავებს ყველაფერს. ამ თეორიის დასაბამი ჩასახულია იმ პირველყოფილ ადამიანის რწმენაში, რომელიც ფიქრობდა, რომ ყველაფერს, რაც კი შეინძრეოდა, შთაბერილი ჰქონდა განსაკუთრებული სული, ხოლო ყველა ამათზე გაბატონებული იყო უძლიერესი სული, უზენაესი ძალა—ღვთაება. ფილოსოფოსი ფიხტე ამბობდა, რომ ინდივიდუუმი (ცალკე ადამიანი) არის გამოხატულება, განხორციელება ხალხის სულისა და ეს უკანასკნელი კი გამოხატულებაა ღვთაებისაო. ხალხის სულს პირველათ უგალობეს პოეტებმა, შემდეგ მას მეცნიერების კარი გაუღო ასე წოდებულმა ისტორიულმა სკოლამ იურისპრუდენციაში. გვასწავლიდენ, რომ ნაციის ყველა იურიდიულ მოვლენათ იწვევს ხალხის სული, უფლება მხოლოთ ამის გამოხატულებაა. ბოლოს ამავე გზით დაიწყეს ახსნა ყველა საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენათა და ნაციის მთელი ისტორია, თავ-გადასავალი, ისე როგორც თვით ნაცია, გამოაცხადეს ხალხის, ამ ნაციის სულის გამოხატულება-განხორციელებათ.

ეს თეორია, ასე ვთქვათ, ნაციონალური სპირიტუალიზმი (სპირიტ—სული), რომ, საბოლოო ანგარიშით, არაფერს არ გვიხსნის, ეს ადვილათ დასანახია. ნაციონალური სპირიტუალიზმი გვასწავლის, რომ ამა თუ იმ ნაციის ადამიანები განსაკუთრებულათ მოქმედებენ, განსაკუთრებულ ისტორიას ჰქმნიან, რადგან ისინი დაჯილდოებული არიან განსაკუთრებულ სულიერ თვისებებით, ამ თვისებებით კი მათ აჯილდოებს მათივე ხალხის სული, რომელიც მატარებელია სწორეთ ამ სულიერ თვისებების, რადგან სწორეთ ამ თვისებების მატარებელია ის ნაცია, სადაც ეს სული პოულობს თავის განხორციელებას. ასე რომ ხალხის სული, ერის სუბსტანცია (არსება), ყოფილა მხოლოთ აბსტრაქცია, კრებული იმ თვისებათა, რომლის მატარებელათ არიან ამა თუ იმ ნაციის ადამიანები. გამოდის, რომ ნაცია ყოფილა ნაცია.

ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ მეცნიერებაში უკვე კარგა ხანია უარყოფილია ის აზრი, ვითომ პსიხიურ მოვლენათა მიზეზი იყოს განსაკუთრებული სუბსტანცია —სული. ის, რასაც ვუძახით სულს, თვითონ წარმოადგენს მხოლოთ კრებულს სულიერ მოვლენათა. ეს უკანასკნელნი კი აუცილებლათ ხდებიან ნივთიერ ნიადაგზე. სული არ არსებობს გარეშე მატერიისა.

ეს ჭეშმარიტება ხელზე დაიხვიეს ზოგიერთ ფილოსოფოსებმა და მატერიაში იწყეს მიზეზთა მიზეზის ძებნა. ამათი შეხედულებით ნაციას შეადგენს ყველა ის განსაკუთრებული თვისებები რომლის მატარებელია შთანასახის პლაზმა და რაიც ამა თუ იმ ნაციის ადამიანებში ერთი თაობიდან მეორეზე გადადის მემკვიდრეობით. ამ შეხედულებით ნაციის მთელი ვინაობა, მისი თავ-გადასავალი და ისტორია მოვლინებულია იმ პაწია უჯრედისაგან, რომელიც გიმოიყოფება ხოლმე მამისა და დედის სხეულიდან და ერთდება სიცოცხლის ჩასახვის დროს. მაგრამ ეს შეხედულება, ნაციონალური მატერიალიზმი— იგივე მეტაფიზიკაა, რაც ზემოთ ვნახეთ ნაციონალურ სპირიტუალიზმში, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ აქ სულის ადგილას წამოყენებულია მატერია.

შთანასახის პლაზმის ისეთი გაგება, როგორსაც იძლევა ეს მატერიალიზმი უკვე უარყოფილია თანამედროვე ბიოლოგიაში. ლამარკისა და დარვინის შემდეგ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ინდივიდებს მოეპოვებათ არა მარტო ის ფიზიკური და პსიხიური თვისებანი, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, არამედ აგრეთვე ის თვისებანიც, რომელიც მათ თვითონ შეიძინეს საკუთარ სიცოცხლეში გარშემორტყმულ პირობების ზე-გავლენით არსებობისათვის ბრძოლის დროს. ასე რომ ეს ინდივიდები თავის შთამაოობას გადასცემენ არა იმავე შთანასახის პლაზმას, რომელიც თვითონ მიიღეს მშობლებისაგან, არამედ უკვე შეცვლილს და გადასხვაფერებულს, და თუ ეს პლაზმა თვითონაც ცვალებადია, ცხადია, ის არ ყოფილა იმ ძალის მატარებელი, რომელიც ჰქმნის ნაციას და ამოძრავებს მის ისტორიას.

ჩვენ ეხლა უკვე ვიცით ყველა ის თეორიები და შეხედულებანი, რაიც დღევანდლამდე არსებულა ნაციის შესახებ. უკვე დავინახეთ, რომ არც ერთი მათგანი არ იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს ჩვენს საკითხზე, არც ერთი მათგანი არ არის მეცნიერებისაგან მისაღები. ამიტომ ჩვენი საკითხის ახსნა-განმარტება უნდა მოვძებნოთ სხვაგან და სულ სხვა გზით. მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში.

ონ.

სამეცნიერო საუბარი.

ცხოველების განვითარება.*)

დღეს მეცნიერების უტყუარ დასკვნას შეადგენს ის აზრი, რომ ადამიანი და პირუტყვები მხოლოთ სხვა და სხვა შტოა ერთსა და იმავე ძირზე აღმოცენებული ე. ი. ადამიანსა და პირუტყვს საერთო წინაპრები ჰყავდათ, ხოლო არსებობისათვის ბრძოლამ ყველა მათი განვითარება სხვა და სხვა პირობებში ჩააყენა და ამიტომ დაშორდენ ნელა ნელა ერთმანერთს. ყოველივე ის, რაც დღესა სცხოვრობს, თანდათან განვითარდა სხვა არსებათაგან და ყოველივე ის, რაც დღეს დედამიწის ზურგზე არსებობს ნელა-ნელა და შეუჭერებლათ იცვლება. რამდენიმე ასი ათასი წლის შემდეგ დედა-მიწის მცხოვრებთა სურათი სრულებით სხვა გვარი იქნება, ვიდრე დღეს არის.

თვალი რომ გადავავლოთ იმ მოვლენებს, რომლებიც ცხოველთა ტანში სწარმოებენ სიცოცხლის განმავლობაში, დავინახავთ, რომ ამ მხრივაც დიდი მზგავსებაა ადამიანსა და პირუტყვებს შორის. ადამიანი სუნთქავს ისე, როგორც სხვა პირუტყვები, ფილტვების შემწეობით. სუნთქვის დროს ადამიანიცა და პირუტყვებიც აძლევენ გარეშე ჰაერს ნახშირმჟავე ჰაერგვარს; სამაგიეროთ ჰაერიდან იღებენ მჟავბადს. ადამიანის აგებულებაში სისხლი მოძრაობს ისე, როგორც პირუტყვების აგებულებაში. ადამიანსა და პირუტყვებსაც აქვთ ოთხგანყოფილებიანი გული; მარცხენა ნაწილიდან აორტის დიდი მილით განახლებული სისხლი მიუდის ტანის ყველა ნაწილებს; მოძველებული სისხლი თავს გულის მარჯვენა ნაწილში იყრის და აქედან ფილტვებში მიდის დასაწმენდათ. ფილტვებიდან დაწმენდილი სისხლი ისევ მარცხენა ნაწილში ჩამოდის და აორტით მიუდის ტანის ყველა ნაწილებს. ასე მოძრაობს სისხლი როგორც ადამიანის ტანში, ისე პირუტყვების ტანშიაც. პირუტყვების სისხლი თავისი შემადგენელი ნაწილებით ძალიანა ჰგავს ადამიანის სისხლს: იქაც და აქაც უმთავრეს ნაწილს წარმოადგენენ წითელი სორსლები, თეთრი სორსლები და წბოლი. საზრდოობის დროს პირუტყვების აგებულებაში იგივე ქიმიური პროცესები სწარმოებენ, რაც ადამიანის ტანში,—იქაც და აქაც საჭმელს ხარშავს კუჭის მჟავე წვენი, ნაღველი, კუჭის ქვეშ მდებარე ჯირყვლის წვენი და ნაწლევების წვენი. ადამიანისა და პირუტყვების სისხლი იწმინდება ჰაჭების შემწეობით და ადამიანის შარდი თავისი შემადგენელი ნაწილებით იგივეა დაახლოებით, რაც პირუტყვის შარდი. როგორც ადამიანს, ისე პირუტყვებს აქვს რძე და, თუ რამდენათა ჰგავს ქალის რძე პირუტყვისას, იქიდანაც ცხადათ მტკიცდება, რომ ბავში ხბოსავით იზრდება ძროხის რძით, როცა შესაფერის ცოდნით ასაზრდოვებენ მას ძროხის რძით.

*) იხ. ჩვენი კვალი № 3.

მივმართოთ ჩანასახის განვითარებას. ყოველი ძვლიანი ცხოველი და ადამიანიც ჩნდება კვერცხისა და სპერმატოზოიდის შეერთებით. კვერცხი ეკუთვნის დედალს, სპერმატოზოიდი მამალს. ადამიანისა და პირუტყვების კვერცხი წარმოადგენს მეტათ პატარა უჯრედს—დაახლოებით პურის მარცვლის ოდენას. ის რგვალია, გარედან თხელი კანი აკრავს, შიგნით არის წბოლი, წბოლშია გული. სპერმატოზოიდი იმდენათ პატარაა, რომ უბრალო თვალით არ დაინახება, მასა აქვს მოსხო და წამწვეტებული თავი და გძელი კუდი; ამ კუდის წყალობით მას მოძრაობა შეუძლია. მამლის თესლში სპერმატოზოიდები ათასობით დაფუსფუსებენ.

როდესაც სპერმატოზოიდები წააწყდებიან კვერცხს, შემოე'ევიან გარშემო. რომელიც უფრო ღონიერია, ის გახვრეტავს კვერცხის კანს, შევა შიგ და შეუერთდება კვერცხის გულს. სწორეთ ამ წუთიდან იწყება ცხოველის ჩასახვა და განვითარება. კვერცხი იბერება, იზრდება, იყოფა მრავალ უჯრედებათ და ნაწილებათ. თვითეული ნაწილებიდან ვითარდება ტანის სხვა და სხვა ქსოვილები: ძვლები, კუნთები, ტვინი, სისხლის მილები, თვალები, ყურები, გული, ფილტვები, კუჭი, ნაწლევები და სხვა. განვითარების პირველ საფეხურზე ადამიანებისა და პირუტყვების ჩანასახი იმდენათ წააგავან ერთმანერთს, რომ მათი გარჩევა და გამოცნობა, რომელი რომლის არის, მეტათ ძნელია. მხოლოთ შემდეგ და შემდეგ ისინი თან და თან შორდებიან ერთმანერთს მზგავსებით. ჩანასახის განვითარებაც გვიმტკიცებს, რომ უძველეს დროს ყველა პირუტყვებსა და ადამიანებს ერთი და იგინე წინაპრები ჰყავდათ. განვითარების პირველ საფეხურზე ჩანასახთა გასაოცარი მზგავსება ამისი საუკეთესო დამამტკიცებელია.

მეცნიერთა აზრით დედა მიწის ზურგზე სიცოცხლე უკვე რამოდენიმე ასი მილიონი წელიწადი არსებობს. თუ როგორი იყო დედამიწის ცხოვრება უძველეს დროს, ამის შესწავლა და დაახლოებითი გამოცნობა შეიძლება მხოლოთ ერთის გზით: დედამიწას შეუნახავს იმ ცხოველთა ძვლები, რომლებიც წინეთ სცხოვრობდენ; ეს ძვლები ხშირათ გაქვავებულია. ამ ძვლების შესწავლით ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით აღვადგინოთ გარეგანი სახე იმ ცხოველებისა, რომლებსაც ეს ძვლები ეკუთვნოდა. უძველეს დროს დღევანდელი ძუძუმწოვარი ცხოველები სრულებით არ არსებობდენ. ამათ ნაცვლათ იყვენ ერთგვარი ცხოველები, რომლებსაც ოთხი ფეხი ჰქონდათ და თითო ფეხზე ხუთი თითი; ერთი თითი უფრო მოსხო იყო და სხვებზე უფრო მოძრავი. ამ ცხოველების ძვლები აღმოაჩინეს ამერიკაში და საფრანგეთში. ბევრი მეცნიერის აზრით ეს ცხოველები უძველესი წინაპრები არიან ყველა ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანისა. თუ მივმართავთ უფრო ძველ ხანას დედამიწის ცხოვრებისას, დავინახავთ, რომ დედა-მიწის ერთათ ერთი მცხოვრებნი იყვნენ თევზის მზგავსი ცხოველები, რომლებიც წყალში ცხოვრობდენ. აქედან ცხა-

დია, რომ ის ხერხემლიანი ცხოველი, რომლის ძვლებიც ამერიკაში და საფრანგეთში აღმოაჩინეს და რომელიც ბევრი მეცნიერის აზრით, ყველა ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის წინაპარია, უნდა განვითარებულიყო თევზის მზგავსი ცხოველიდან. ამგვარათ ადამიანის უძველესი წინაპარი წააგავდა თევზს და დასცურავდა წყალში. რა უკუდო ზღაპარია, იტყვის ზოგიერთი მკითხველი. რასაკვირველია, ადამიანის გონება ვერ წარმოიდგენს მას, რაც დედამიწას განუცდია მრავალი მილიონი წლების განმავლობაში, მაგრამ არის დღესაც ისეთი ფაქტები, რომლებიც ცხადათ ჰღალადებენ, რომ ადამიანის უძველესი წინაპარი თევზის მზგავსი ცხოველი უნდა ჰყოფილიყო. არსებობს იგრეთ წოდებული კანონი მემკვიდრეობისა, რომლის საიდუმლოებაც ჯერ-ჯერობით მეცნიერთათვის გამოურკვეველია. ეს კანონი იმაში მდგომარეობს, რომ დედ-მამის ზოგიერთი თვისებანი შვილებს გარდაეცემათ ხოლმე. ახლა მივმართოთ ადამიანის ჩანასახს. რამოდენიმე კვირის ჩანასახი რომ გასინჯოთ, შენიშნავთ, რომ ყბებს ქვეშ კისერზე მას ლაყუჩები აქვს. შემდეგ და შემდეგ განვითარების დროს ეს ლაყუჩები ჰქრება. რას გვეუბნება ეს გარემოება? მხოლოთ იმას, რომ ადამიანის უძველეს წინაპარს ლაყუჩები ჰქონდა, მაშასადამე ის წყალში სცხოვრობდა. იმის ჩამომავლობას გადაეცა ეს ლაყუჩები და ლაყუჩების ნიშნებს ჩვენ ვხედავთ ადამიანის რამოდენიმე კვირის ჩანასახში.

თუ მივმართავთ კიდევ უფრო ძველ ხანას დედამიწის ისტორიისას, დავინახავთ, რომ დედამიწის ერთათ-ერთი მცხოვრებნი იყვენ ერთ უჯრედიანი ცხოველები. ზოგი მათგანი ერთიმეორესა სჭამდა და ამით განაგრძობდა თავის არსებობას, სხვები კი საზრდოობდენ წყალში გახსნილი ნივთიერებით. სხვა არაფერი არ არსებობდა დედა-მიწის ზურგზე იმ დროს. ზოგი მეცნიერის აზრით იმ ერთ უჯრედიან ცხოველებიდან, რომლებიც ერთმანერთის ჭამით არსებობდენ, განვითარდენ მილიონი წლების განმავლობაში ყველა ცხოველები ჭიიდან მოკიდებული ადამიანამდე. ხოლო მეორე გვარი ერთ უჯრედიანი ცხოველებიდან განვითარდენ მცენარეები. ბუნებაში დღესაც ბლომათ არიან ერთ უჯრედიანი ცხოველები. საიდან და როგორ გაჩნდენ ესენი? სიცოცხლის მთელი საიდუმლოება ამ ერთ უჯრედიან ცხოველებშია მოთავსებული, მაგრამ ამათი გაჩენის შესახებ მეცნიერება ვერასფერს ვერ გვეუბნება. ჩვენ რომ ვიცოდეთ დაწვრილებით ის პირობები, რომლებშიაც დედა-მიწა იმყოფებოდა ამ რამდენიმე ასი მილიონი წლების განმავლობაში, მაშინ სიცოცხლის წარმოშობაც ადვილი გასაგები იქნებოდა.

ივ. გომართელი.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩვენში.

წარსულ კვირას ზუბალაშვილის სახელობის სახალხო შენობაში მოხდა უნივერსიტეტის წევრთა კრება. თავდაპირველათ გამგეობის წევრმა ვ. რცხილაძემ წაიკითხა წარსულ წლის ანგარიში თბილისის სახალხო უნივერსიტეტის მოქმედების შესახებ. ამის შემდეგ განსახილველი იყო მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ეს კითხვა კრებამ გადაწყვიტა განიხილოს მომავალ საზოგადო კრებაზე, რომელიც უნდა შესდგეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის ოქტომბრისა. აირჩიეს კომისია, რომელმაც გამგეობასთან ერთად უნდა გადაათვალიეროს წესდება, თუ რა სასურველი ცვლილებების შეტანაა საჭირო. ამავე კომისიას და გამგეობას დაავალეს შეიმუშაოს ინსტრუქცია, თუ რანაირი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს, გამგეობასა და სექციებს შორის. კრებამ სასურველად სცნო გამოირკვეს, რაც შეიძლება მალე, ვის ხელში დარჩება ზუბალაშვილს სახელობის სახალხო შენობა. გამგეობის წევრებათ არჩეულ იქმნენ: ნ. გ. ჭაჭინაძე, ვ. ვართანოვი, როდზევიჩ-ბელევიჩი, ივ. ი. კაჩუხოვი, სტ. ოტ. პარკუსაძე, გ. ი. მენთეშოვი, ს. რ. მირზაკიანცი, ფაიკ-ეფენდი-ნეიმან-ზადე, ს. ა. ზაქარიაშვილი, ბ. ვ. ბარანოვსკი და მეკელი. კრებას ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო.

—

ამ ცოტა ხანში კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ, თბ. მცხოვრებ გელაძეს, რომელსაც ბრალდება პორდრიაჩიკ ოჰანეზოვზე თავდაცემა და პოლიციისათვის იარაღით წინააღმდეგობის გაწევა დაჭერის დროს, და გლეხ ხავთასის, რომელსაც აბრალებდენ სალდათ პორაჩიკის და პოლიციელის ცოლის ლუკკასის მოკვლას, გადაუწყვიტა ჩამოღრჩობა. ბრალდებულთა დამცველებმა გადაიტანეს საკასაციო საჩივარი მთავარ სამხედრო სასამართლოში, რომელმაც უცვლელათ დაამტკიცა კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

—

როგორც რუსული გაზეთები იტყობინებიან, სინოდმა საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა ვოლინის ეპისკოპოზი ანტონი.

—

მეხუთე პოლიციის ნაწილში, სადაც ექსარხოსის მოკვლის გამო დაკეტეს დუქნები, თბ. გენერალ-გუბერნატორმა ნება მისცა ზოგიერთ მოვაჭრეებს განაახლონ ვაჭრობა.

—

ამ ცოტა ხანში კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე მიეცეს მას (საბჭოს) 4,108 მან. თბილისის საბაღოსნო სკოლისათვის. როგორც სარწმუნო წყაროებიდან სჩანს, ნამესტნიკის საბჭოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თხოვნა შეუწყნარებია.

—

9 ივნისს, დილის 11 საათზე, თბილისის საკომერციო ბანკის მეარტელეს სამხედრო შტაბთან დაეცა რამდენიმე შეიარაღებული კაცი გასაცარცავათ. თავდამცემთ გადააგდეს ოთხი ყუმბარა, რომელთაგან არც ერ-

თი არ გასქდა. ერთი დამცემთაგანი პოლიციის ქუჩაზე სასიკვდილოთ დასჭრეს. დანარჩენები მიიმალნენ. ფული ვერ გაიტაცეს. დაჭრილის ჯიბეში აღმოჩნდა პასპორტი სელივან პრიგნაშვილის სახელზე.

—

ახალ-სენაკის ციხიდან, 6 თიბათვეს, დილის 8 საათზე, სეირნობის დროს გაიქცა სამ ტუსაღი: ადამია, მილინოშვილი და მოსიძე პირველი უკვალოდ გადიკარგა. ორი კი პოლიციამ დაიჭირა და ხელ-ახლად ციხეში დაამწყვდია. ახალ-სენაკის თითქმის ყველა სახლები გაჩხრიკეს, მაგრამ ადამიას დაჭერა მაინც ვერ მოახერხეს ადამიას აბრალებდენ სხვა-და-სხვა ტეროორისტულ აქტებს პოლიტიკურ ნიადაგზე (Зак.)

—

ქუთაისის ციხეში გარდიცვალნენ შემდეგი პოლიტიკური დამნაშავენი: იოსებ ჩიტაია, ალ. ქავთარაძე, ან. არჩილაია, აბ. ჩაჩხიანი და გ. აბრამაია. ყველა იმათ აბრალებდენ კავკასიის სხვა და სხვა ნაწილებში რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის.

—

როგორც „Зак"ს ატყობინებენ, ოზურგეთის მაზრის, სოფ. ასკანას გლეხებს სასოფლო ყრილობაზე გამოუტანიათ დადგენილება, ებრძოლონ ყველა-ნაირი საშუალებით ცარცვა-გლეჯას. მიიღო რა მხედველობაში დუქნების გამათახსირებელი მოქმედება, სადაც უსაქმო ხალხი და ახალგაზდობა უქმად ატარებს მთელ დღეებს, კრებამ ერთხმათ გადაწყვიტა ბოიკოტი გამოეცხადოს დუქნებს.

—

ქ. გუმბრში (ალექსანდროპოლში), სან ივნისის წყალ დიდობის გამო, დაღუპილა 100 ადამიანი. უპოვიათ მარტო 37 გვამი. დანარჩენებს ეძებენ. საზარელ სურათს წარმოადგენდა რამდენიმე დღის წინათ გუმბრი, სადაც ქუჩაში დარბოდენ დედაკაცები, ბავშები და მამაკაცები, რომლებიც ეძებდენ ზოგი დედას, ზოგი მამას, ზოგი ცოლს, ბავშებს და სხვა.

—

„თბ. ფ." დეპეშით ატყობინებენ ბაქოდან, რომ 10 ივნისს საიდუმლო პოლიციის აგენტებს ერთი სახლის ჩხრეკის დროს ესროლეს ორი ყუმბარა. ატყდა სროლა, სადაც დაუყონებლივ გაჩნდენ პოლიციელები. უკანასკნელთ არ იცოდენ, რომ სახლში საიდუმლო პოლიციის აგენტები იყვენ, ხახლს სროლა აუტეხეს და კინაღამ ყველანი ამოწყვიტეს. როცა სროლა შესწყვიტეს, სახლში აღმოაჩინეს სტამბა და შრიფტი. ექვით დააპატიმრეს 3 ახალგაზდა კაცი არავინ დაშავებულა.

—

ს. დარჩელში (სამეგრელო. ზუგდიდის მაზრა) ამ დღეებში სტრაფნიკებმა ბოქაულის-ჩაჩავას თანახლებით მოჰკლეს მთელ მხარეში ცნობილი ორი აბრაგი (ყაჩაღი): შამუგია და ნაყოფია. პირველი ცნობილი იყო თავისი სიმხეცითა და აუწერელი ველური მოქმედებებით.

მთელ სამეგრალოში საშინელი გოლვაა, სიცხე დღისით არაჩვეულებრივია. ნათესს სიყვითლის ფერმა დაჰკრა და ბევრგან სრულიადაც გ-ხმა. საკვარისია სულ რამდენიმე დღეს გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა, რომ შარშანდელი წყლიწადი განმეორდეს გაორკეცებულის სიძლიერით.

ქუთაისის „მამები" რა საშუალებას არ მიმართავენ ხოლმე, რომ ცარიელი კასა აავსონ. თვითმართველობის „მამებმა" ქუჩაში ფეხის მწმენდელთა „წარმოებაზე" ერთგვარი „სამრეწველო" გადასახადი—პატენტის შეძენა—შემოიღეს. დიახ, სულ მცირეწლოვან ბავშებს, რომელთა შრომით სარგებლობა აღკრძალულია კანონით და მათი აღზდა-განათლება ნაკისრები აქვს საზოგადოებრივ ორგანოთ; ჩვენებური მუნიციპალიტეტი ურცხვათ საქვეყნოთ ყვლეფს მათ, რომელნიც სიმშილს ებრძვიან ისეთი არა საიმედო იარაღით, როგორიცაა თავისი შრომის შემთხვევითი გაყიდვა; აი ამათ უნდა იხადონ თვეში ექვსი შაური ქალაქის ნაწილის პლუტოკრატთა დასამშვენებლათ. ასეთი გადასახადი შემოიღეს ხელზე საქონლის გადამზიდველებზედაც...

დ. ბ.

რუსეთში.

პირველიდან 6 ივნისამდე სიკვდილი მიუსაჯეს: ვარშავაში — თხუთმეტს (15); ამათგან ორს სიკვდილით დასჯა შეუცვალეს კატორგით. რიგაში—ექვსს, ეკატერინოსლავში—ორს, კიევში—ერთს, სამარაში—2. („რ")

მოსკოვში დააჯარიმეს ორი გაზეთი: „ზერნო"—1900 მან. და „რანნეე უტრო" 500 მან. „ვიატსკია რეჩი" დააჯარიმეს 300 მან. (1—6 ივნ. „რ.")

კაზანის უნივერსიტეტის საბჭომ პეტერბურგში გაგზავნა რექტორი და ორი პროფესორი სახალხო განათლების მინისტრთან მოსალაპარაკებლათ, რომ უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელ ქალებს კურსის დასრულების ნება დართოს.

სიკვდილით დასაჯეს: პირველიდან 6 ივნისამდე ეკატერინოსლავში—ორი, რიგაში—ერთი, სევასტოპოლში—ექვსი. („რ")

„რუსის ხალხის" კავშირმა მოსკოვში პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ად. ქალ. თვითმმართველობის საბჭოს განზრახვა აქვს ლევ ტოლსტოის პატივსაცემლათ—დიდებული მწერლის დაბადებიდან 80 წლის თავის აღსანიშნავათ - გადაიხადოს იუბილეი.

კიევის სამხედრო სასამართლოს პროკურორთან გამოცხადდა გემნაზიელი ტერლეცოვი და აღიარა, რომ ის არის მიწეზი იმ მკვლელობის განზრახვისა, რისთვისაც ამას წინეთ იირმარკს სიკვდილი მიესაჯა.

1907 წ. რკინის გზაზე გაფიცვის თაობაზე 42 ბრალდებულთაგან სარატოვის სამოსამართლო პალატამ 30 კაცი გაამართლა; სამს ორი წლით ტუსაღთა რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა, 9-ს კი-1 წლამდე ციხე.

იალტიდან გადაასახლეს მწერალი არციბაშევი.

ქ. ოდესის საბჭომ გააუქმა ქალაქის თვითმმართველობაში ორი თანამდებობა მხოლოთ იმ საბუთით, რომ ამ ადგილებზე მსახურებდენ პროგრესისტები.

სამეტალურგო ტრესტი არ შესდგა.

ზლატოპოლში სამხედრო სამართალში მისცეს ექსტერნი და სამი გიმნაზიელი გემნაზიის ინსპექტორის დაჭრის თაობაზე.

ლიბავის პორტში ხომალდ „ნედჟედზე" გამოჩნდა „შიმშილობის" ბაირაღი, რითაც მცხოვრებთ ხომალდმა აცნობა, რომ არც „კამანდას," და არც აფიცრებს არ

მოეძევებათ სანოვაგე და არ აქვთ სხვა რაიმე საშუალება, რომ შეიძინოს სასმელ-საჭმელი.

ერთი საქმის გარჩევის დროს კიევის საოლქო სასამართლოში აღმოჩნდა, რომ პოლიციაში უწამებიათ გრალდებული ჩვეიების ჩაიოსართმევათ. („რეჩ“).

უცხოეთში.

ლონდონის გაზეთებში გამოაქვეყნეს ადრესის ტექსტი, რომელსაც იუბილეის გამო უძღვნიან ინგლისელ ხალხის სახელით რუსეთის დიდებულ მწერალს ტოლსტოის მისი პატივის მცემელნი და თანამოაზრენი.

რევოლიუციონურმა ენჯუმენებმა (კლუბებმა) შაჰს ტახტიდან გადადგომა მოსთხოვეს, რაზედაც შაჰმა იმ შენობის განადგურების დამუქრებით უპასუხა, რომელშიაც ისინი დაბინავებულან; არტილერიის მოახლოვებისათანავე რევოლიუციონერები გაიფანტენ.

ივნისის პირველ დღეებში ქურთებმა დნარბიეს ურმიის 28 სოფელი, მათ შორის 15—ქრისტიანების.

თეირანში პირველ ივნისიდან დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. შაჰს ბინა ქალაქ გარეთ აქვს გამართული; მის ბანაკში განუწყვეტლივ ჯარები იკრიბებიან.

სპარსეთის შაჰს მეჯლისმა დეპუტაცია გაუგზავნა მოსალაპარაკებლათ: შაჰმა განაცხადა, რომ ის მზათ არის თავის უფლებები დაიცვას იარაღით ხელში. თეირანში მიუხედავათ ჯარის ჩარევისა ბაზარი ისევ დაკეტილია.

სპარსეთისა და რუსეთის კონფლიქტი შახსევანებთან შეტაკების გამო მშვიდობიანათ დასრულდა. სპარსეთმა კავკასიის ნამესტნიკს შახსევანებისაგან მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლათ გამოუგზავნა სულ 64 ათასი მან. დანარჩენი უნდა გადახდეს შახსევანებს ერთი წლის შემდეგ.

ინგლისის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოხუცებულობის უზრუნველყოფის შესახებ.

კუნძ. სუმატრაზე ახალი გადასახადების შემოღების გამო მოხდა შეტაკება: მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 90 კაცამდე აღწევს; ჯარს მოუკლეს 4, დაუჭრეს—13.

სერბიის მინისტრის კაბინეტი სამსახურიდგან გადადგა.

ჩინეთის ბოგდიხანი (იმპერატორი) დათანხმდა, რომ შეისყიდოს ხაზინამ ტელეგრაფი მთელ სახელმწიფოში.

თურქებმა დაიკავეს ოლქი სომაი, ურმიიდან 50 ვერსზე.

არ დამივიწყოთ.

—

ამხანაგებო, ოდეს წარსულზე
სიამოვნებით ფიქრი დაიწყოთ,
მეც მომიგონეთ იმ დროს ბედკრული
არ დამივიწყოთ, არ დამივიწყოთ!..,

—

ვახმე თუ თქვენგან დაშორებული
ისე მოვკვდე მე და დავიმარხო,
რომ სიცოცხლეში მეგობართ შორის,
ერთის წუთითაც ვერავინ ვნახო!?.

დე ასე იყოს... მხოლოთ იცოდეთ,
რომ სამარეში ეს ჩემი გული
თან ჩაიყოლებს მათსა სიყვარულს,
ვისთვისაც მზათ ვარ დავლიო სული!..

ქნარი.

სახელმწიფო დუმა.

5 ივნისის სხდომაზე დუმამ განიხილა პროექტი დუმის კანცელარიის მოსამსახურეთა შტატის შესახებ. როგორც მომხსენებელი კომისია, ისე დუმის უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ დუმის კანცელარია თავისი შედგენილობით, და ხასიათით, მოსამსახურეთა დაჯილდოვების წესით უნდა ემსგავსებოდეს პეტერბურგის უმაღლეს დაწესებულებების საშუალო ტიპს. რადგანაც დუმის კანცელარიის უფროს მოხელეთა სამსახურში დაწინაურება, ჩინების ამაღლება საზღვარდადებულია, ამიტომ საჭიროა მათ დიდი ჯამაგირები დაენიშნოთ, რათა დუმამ ამით მიიზიდოს საქმისთვის საჭირო კაცები. კანცელარიაში 200 მოსამსახურეა: უფროსებს დუმამ დაუნიშნა წლიურათ 6,000 მან., უნცროსებს—3,600 მან. ტრუდოვიკების ფრაქციის სახელით როზანოვი აცხადებს, რომ შრომის ჯგუფი ჩინებისა და ორდენების შესახებ ხმის მიცემაში მონაწილეობას არ მიიღებს.

6 ივნისის სხდომაზე დუმამ დაასრულა კამათი ამ საგანზე და თითქმის უცვლელათ დაამტკიცა კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი.

ამავე სხდომაზე შეუდგა დუმა სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ კამათს. კითხვის დასმის უმალვე ტრიბუნისაკენ გაექანა დუმის დიდი უმრავლესობა, რომელმაც მოინდომა ამ საგანზე სიტყვის წარმოთქმა; მარა ეს, როგორც თავმჯდომარემ, ისე თვით დუმამ შეუძლებელათ დაინახა. გაიმართა ფრაქციათა შორის მოლაპარაკება. გადაწყდა, ილაპარაკოს მხოლოთ სამოცმა ორატორმა. (მსურველთა რიცხვი კი 120დის იყო.) დაიწყო მომხსენებელმა კაპუსტინმა, (ზომიერ-მემარჯვენე) რომელმაც განაცხადა, რომ დღეს სახალხო განათლების სამინისტროს და შკოლური განათლე'ის მდგომარეობით უკმაყოფილოა არა თუ „საზოგადოება“, მთელი დუმა, არამედ თვით მინისტრიც; ყველა აუცილებელ საჭიროებათ ცნობს „ს ხალხო განათლებას“ ძირითად რეფორმას. მომხსენებლის აზრით სახალხო განათლების საქმეც იმდენათვეა საყურადღებო, რამდენათ სახელმწიფოს დაცვის საჭიროება; ეს ორი უმთავრესი მოთხოვნილება სახელმწიფოსი ერთ-მეორეზეა დამოკიდებული. ამიტომ მომხსენებელი იცავს იმ ფორმულას, რომელიც წარმოდგენილი იყო თავის დროზე ამ საკითხის შესახებ. საბიუჯეტო კომისიის მიერ, რომელიც შკოლის დღევანდელ მდგომარეობას აუტანელათ ცნობდა, მის ძირითად რეფორმის საჭიროებას აღიარებდა.

სანამ საზოგადო კამათი დაიწყებოდა, სამინისტროს დასაცველათ ორიოდე კერძო ხასიათის შენიშვნა გამოთქვა სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგმა ულიანოვმა. მან განაცხადა, 1) რომ სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა არც ისე არეულ-დარეულია, როგორც ეს საბიუჯეტო კომისიას წარმოუდგენია, 2) რომ სასურველია დუმამ შკოლების ინსპექტორების ჯამაგირებათ

გადადვას იმდენი ფული, რამდენსაც მთავრობა მოითხოვს, ე. ი. 118,000 მან. 3)რომ დუმამ კეთილათ ცნოს მთავრობის მოქმედება სარატოვის უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, რაც ვარშავაში გაუქმებულ უნივერსიტეტის ნაცვლათ უნდა ყოფილიყო და ვერ მოხერხდა; 4) რომ მთავრობა ფიქრობს ტომკის უნივერსიტეტს ახალი ფაკულტეტი მიუმატოს. „აი ეს არის ყველაფერი, რის თქმაც სამინისტროს შეუძლია და თავის მოვალეობათ მიაჩნია“, დააბოლავა თავის მოკლე სიტყვა ულიანოვმა.

სამინისტროს წინააღმდეგ გაილაშქრა პირველათ ოქტომბრისტთა ფრაქციის სახელით დეპ. ფონანრეპმა, რომელსაც 15 წლის განმავლობაში უმოღვაწნია, როგორც პროფესორს და სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

საკმაოა ხარჯთ-აღრიცხვას ზერელეთ გადავხედოთ, დაიწყო ორატორმა, რომ დარწმუნდეთ მის სივაგლახეში და არარაობაში. ყველაზე უფრო მისი ასეთი უმწეობა მდაბიო ხალხის განათლებაზე ზრუნვაში გამოიხატა: ამ მხრით მას არასოდეს არაფერი გაუკეთებია. ამის პასუხათ მას მუდამ ენაზე აკერია: საჭირო ფულს არ გვაძლევენო“, მარა აბა თქვით, მთავრობის წარმომადგენელნო, როდის მოითხოვეთ თქვენ ხალხის განათლების საქმისთვის ფული და ამაზე უარი მიიღეთ? ასეთი შემთხვევა არასოდეს არ ყოფილა! პირიქით სამინისტრო სულ სხვა საგნისთვის მოითხოვდა ფულს და სხვა მიზნით მოქმედებდა ის. სახალხო შკოლა კი სულ უკან-უკან და თავ-ქვე ეშვებოდა ამ ხნის განმავლობაში: არ იყო მასში არც აღზრდა, არც განათლება. ამ მოვლენას ბევრნი საზოგადოთ რევოლიუციას აწერენ, თითქოს მისი ბრალი იყოს შკოლის გათახსირება; არა, ბატონებო, მე ვიტყვი, რომ ეს ბრალი სამინისტროს ედება, ვინაიდან შკოლა რუსეთში რევოლიუციამდე დაადგა გათახსირების გზას. (ტაშისცემა ცენტრში და მარცხნივ) მართალია განმათ. მოძრაობამ თავისი მავნე გავლენა შეიტანა იქ, მარა ეს დროებითია: „ქვეყნის დაწყნარებასთან“ ისიც თანდათან გაქრება. არა, თავდაპირველი და მთავარი მიზეზი შკოლის გათახსირებისა — ეს სამინისტროს დაუდევრობა და იმისი მხრივ რუსული შკოლის, რუსის ხალხის საჭიროებათა გაუგებრობაა. მთავრობის მიერ შკოლებში გამეფებული სისტემა იწვევს მოსწავლეთა მხრივ უნდობლობას და უპატივცემულობას მასწავლებელთა, პროფესორთა მიმართ და ამ ნაირათ მათ შორის მყარდება რაღაც ნაირი მხეცური განწყობილება. (ტაშისცემა და ხმაურობა ცენტრში და მარცხნივ, თავმჯდომარე ზარს რეკავს.) და თუ მისგანვე შკოლებში გამოწვეული უწესოება და უმსგავსობა რევოლიუციის დროს არ იქნა შეჩერებულ-შეწყვეტილი, ამის მიზეზი თვით მთავრობაა, რომელნიც ასეთ დროს უნდა შეჭრილიყო შკოლაში და აღედგინა წესიერება, მარა ეს მან არ შეასრულა და თავის გასამართლებელ საბუთათ 1905 წლის 27 აგვისტოს უმაღლესი უქაზი დაასახელა; ნამდვილათ კი ამ საქმეში მხოლოთ სამინისტრო იყო დამნაშავე და სხვა არავინ.

არც ერთ სამინისტროს არ ძალუძს, განაგრძო ანრეპმა, სხდომის განახლების შემდეგ, ცირკულიარებით აღადგინოს უნივერსიტეტებში დარღვეული წესიერება. ეს შეუძლია მხოლოთ მტკიცეთ და გარკვეულ წესებით განსაზღრულ ავტონომიას მაღალი შკოლისას. ამაზე კი ჩვენს სამინისტროს ამ ბოლოს სამი წლის განმავლობაში სულ არ უზრუნვია; ამის ნაცვლათ ის დიპლომების რიცხვის განსაზღვრა-შემცირებაზე უფრო ფიქრობდა და, უნივერსიტეტში მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვის მაგიერ, მთელი თავისი ძალღონით იქ „მშვიდობისა და სათნოების“ დამყარებას ცდილობდა, მაშინ როდესაც რუსეთში რიგიან მასწავლებელთა ნაკლებობა მეტათ საგრძნობელია და წარმოიდგინეთ, ფიზიკის პროფესორი ერთიც არ მოიპოვება. ამ ჩაირათ რუსეთს განათლების სამინისტრომ განათლების ასპარეზზე ისეთივე ცუსიმა მოუმზადა, როგორც სამხედრომ ნამდვილი ცუსიმა. მარა ამას მინისტრს მაინც ვერ დავაბრალებთ, ვინაიდან ასეთი დამარცხების მიზეზი მის გარეშე პირობებში იმალება, ეს არის — პოლიტიკის საზოგადო მიმართულება, განათლებისადმი საერთო უნდობლობა: თითქოს საშიში იყოს რუსეთში განათლების ფართეთ და ღრმათ განვითარება. ალბათ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა სამინისტრო, რომ ამ ბოლო ხანებში მან უნივერსიტეტიდან გარეკა მოსწავლე ქალები და საზოგადოთ აღკრძალა თავისუფალ მსმენელთა მიღება, რაც, სხვა რო არა ვთქვათ, წარმოუდგენელი უსამართლობაა. არა, უნდა შეიცვალოს მაღალი შკოლის წესდება ისე, რომ შემდეგში არ განმეორდეს ასეთი უმსგავსობა, არ მოხდეს ასეთი შეცდომა. რაც შეეხება საშუალო შკოლის წესდებას, ორატორის აზრით, სანამ იარსებებს დუმა, მანამ რუსეთი ვერ იხილავს კლასიკურ შკოლას; ის მუდამ რეალური სწავლების დამცველი იქნება. წლიური ეგზამენი საჭირო არაა, საჭიროა შკოლის კარები რაც შეიძლება ფართეთ იყოს გაღებული და გაიაფდეს სწავლება. ქვეყანას წყურია ახალი შკოლა, ახალგაზდობა ეტანება მეცნიერებას, რუსეთი დაბოლოს ადგება განათლების გზას და აი ამ გზაზე უნდა გაუძღვეს მას ხელი ხელ ჩაკიდებული დუმა და სამინისტრო! (ტაშისცემა ცენტრში და მარცხნივ)

9 ივნისის სდომაზე დუმამ განაგრძო კამათი სახალხო განათლების შესახებ. ზომიერ-მემარჯვენეთა ფრაქციის სახელით გამოვიდა დეპ. ბოგდანოვი; მან სხვათაშორის განაცხადა, რომ შკოლის გათახსირებაში მართალია სამინისტროსაც მიუძღვის ბრალი, მაგრამ უმთავრესი როლი ამ საშინელ საქმეში შეასრულა რევოლიუციამო.. ბოგდანოვის სიტყვით, ზომიერ-მემარჯვენეთა ფრაქცია სასურველათ ცნობს, რომ დუმა და სამინისტრო შეერთებული ძალით შეუდგენ რუსული შკოლის განახლებას. ფრაქციის სურვილია აგრეთვე, ხაზინიდან მეტი ფული იხარჯებოდეს დაბალი სკოლებისათვის და მეტი ყურადღება მიექცეს ახალთაობის აღზრდასა და საერთო პირობებს, ვინაიდან ამ გზით შეიძლება ისევ აღდგეს ის ძველი რუსული სულით გაჟღენთილი „მოქალაქე“, რომელიც მოწიწებით და თაყვანისცემით შეხედავს თავის მასწავლებელს. ფრაქცია სიხარულით მიეგება სამინისტროს განზრახვას, რომ თავის მძლავრ ხელში აიღოს რუსის შკოლის საქმე და შეუდგეს მის აღორძინებას. ამიტომ ზომიერ მემარჯვენენი დღევანდელ სამინისტროს ჯერ კიდევ კრიტიკულათ ვერ შეეხებიან და ვერც აღნიშნენ გარკვეულათ მასთან თავიანთ დამოკიდებულებას.

პოლონელ ნაციონალისტების მხრივ ილაპარაკა დეპ. დმოვსკიმ. შკოლა, თქვა ორატორმა, ერთნაირათ უნდა ეკუთნოდეს, როგორც მთავრობას, ისე საზოგადოებას. თუ შკოლას გამოიყენებენ სახელმწიფოსთვის წინააღმდეგ საზოგადოებისა და მასწავლებელთ დააკისრებენ იმის სწავლებას, რაც მათ არა სწამთ, მაშინ

სკოლა აუცილებლათ გადაიქცევა რევოლიუციის ბუდეთ. ორატორი სიხარულით ეგებება ზოგიერთების მიერ გამოთქმულ სურვილს, რომ რუსეთში დამყარდეს რუსული ნაციონალური შკოლა, ვინაიდან ასეთი შკოლის გახსნა პოლონეთში შეუძლებელი იქნება, (ისმის ხმა: რატომ?) იმიტომ რომ პოლონეთში არ არსებობს რუ-

ლამე.

სული საზოგადოება; იქ პოლონელებია და ისინი დღესაც იბრძვიან პოლონეთში რუსული შკოლის დაარსების წინააღმდეგ; მათ სურთ მხოლოთ თავისი ნაციონალური პოლონური შკოლა; რუსული შკოლა—ეს გარუსების პოლიტიკის ნაუოფია და მეტი არაფერი!

რუსული შკოლის წინააღმდეგ ილაპარაკა მუსულმანთა წარმომადგენელიც, ენიკეევმა; მისი აზრით ყველაზე ნაკლებს სამინისტრო ხარჯავს იმ ადგილებში, სადაც მუსულმანები ცხოვრობენ. მუსულმანთა სულიერ-რელიგიოზური მოთხოვნილებათა უყურადღებოთ დატოვება არის მიზეზი მთავრობის მიმართ მათი ძლიერი უკმაყოფილების. მუსულმანები თხოულობენ, 1) რომ შკოლიდან განდევნილ იქნას მისიონერული-გამაქრისტიანებელი-პოლიტიკა, 2) რომ შკოლა არ ემსახურებოდეს გარუსების მიზანს, 3) რომ სწავლება თათრულ ენაზე წარმოებდეს და რუსული ენა არ იყოს სავალდებუ-

ლო. დასასრულ ორატორი ჩივის, რომ დღემდე მთავრობას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მუსულმანთა ქალების განათლებისათვის.

ტრუდოვიკების წარმომადგენელი დეპ. ბულატი ამბობს, რომ მთავრობა ყოველთვის განზრახ ტოვებდა უყურადღებოთ რუსეთის ფართე მასსებს, განსაკუთრებით გლეხკაცობის სიბნელესა და უვიცობას, ვინაიდან ეს მისი ინტერესებისათვის ხელსაყრელია. ორატორის აზრით დღეს გაბატონებული სისტემის მთავარი ნაკლი არის მისი უკიდურესი ცენტრალიზაცია: სამინისტრომ ყველაფერი თავის ხელში მიამწყვდია, კერძო ინიციატივა სრულიათ გააქრო. შრომის ჯგუფი იმავე სურვილების მომხრეა, რაც ცენტრის (ფონ-ანრეპმა) წარმომადგენელმა გამოთქვა, მხოლოთ თავის მხრივ დასძენს, რომ ეს სურვილები ოდნავაც ვერ განხორციელდება მანამ, ვიდრე სახალხო განათლების სამინისტრო შინაგან სამინისტროზეა დამოკიდებული, ვიდრე მისი სადავე განუკითხავათ ხელთ უპყრია მთავრობას.

კადეტთა ფრაქციის ლიდერმა—მილიუკოვმა გამოთქვა ის აზრი, რომ ამ საკითხზე დუმა უნდა შეთანხმდეს, ვინაიდან ეს კითხვა ყველას ერთნაირათ აინტერესებს და რუსეთის ცხოვრების მეტათ საყურადღებო კითხვათაგანიაო. ეს კითხვა მთელ რუსეთის ცხოვრების თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული. ორატორის აზრით შკოლაში ადგილი არ უნდა ქონდეს არც რევოლიუციონურს, არც მთავრობის და არც სხვა რომელიმე პოლიტიკას. მილიუკოვი მომხრეა ისეთი ნაციონალური სკოლის, რომელიც აღზდის თავისუფალ მოქალაქეებს, რომლებიც გაჟღენთილნი უნდა იყვენ უფლებრივი ცნანასწორობის და კანონიერების იდეებით (ტაშის ცემა მარცხნივ.)

10 ივნისის სხდომაზე დუმამ ისევ სახალხო განათლებაზე განაგრძო კამათი. ამ დღეს სხვათაშორის ერთი მხრივ ილაპარაკეს უკიდურეს მემარჯვენეთა წარმომადგენელებმა: ბრუშკევიჩმა და სხვებმა, მეორე მხრივ თავისი თვალსაზრისი და შეხედულება გამოთქვა სახალხო განათლებაზე სოციალ-დემოკრატიის ორატორმა, დეპ. ბელოუსოვმა.

„ცოდნა—ძალაა“, წარმოსთქვა მან, და აი ამიტომაც არის, რომ გაბატონებული და გავლენიანი კლასები საზოგადოებისა მუდამ ცდილობდენ და ცდილობენ დღესაც სწავლა-განათლება გახადონ თავიანთ პრივილეგიათ და ყოველგვარი საშვალებით დააბრკოლონ, დაუკმაყოფილებელი დატოვონ ხალხის განათლებისაკენ მისწრაფება. რუსეთის შკოლის მთელი ისტორია—ეს გაბატონებულ კლასების და მთავრობის მხრივ შკოლის თავიანთ პოლიტიკის იარაღათ გამოყენების ისტორიაა და სხვა არაფერი!

როდემდის?!

კვლავ გარეწართა აღტყინება, ბურბონთ ხარხარი,
კვლავ სიდუხჭირე... დაჩაგრულთა ბედისა მდურვა;
კვლავ მწარე გმინვა, სუსტთა კვნესა გულ-შემზარავი,
კვლავ ცრემლი, ცრემლი.. ძრიელთადმი წყევა და კრულვა.
გარს სიბნელეა... პარპაშებენ მზაკვარნი ქვეყნის,
ბოროტნი სულნი ნავარდობენ ყოველ მხარესა;
წყვდიადი მეფობს... ფრთა შეისხა უსამართლობამ,
საცაა შხამით წაჰბილწავენ არე-მარესა ..
ჰოი, ტანჯულო, დროა, დროა გამოიღვიძე,
ხედავ რა რიგათ გაწამებენ, სიმწრის ოფლი გდის;
შრომისა შვილო! ბორკილს ჰედენ შენს ხელ-ფეხზედა,
ოხ, სულ სიჩუმე, სულ დუმილი ნეტავ როდემდის?!

ალ. გერასიმიძე.

ცოტა რამ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე*).

ლიტერატურა არის ადამიანის სულიერი ცხოვრების ბარომეტრი.

ის გულის ქნარია, რომელზედაც ადამიანი აჟღერებს მთელ თავის სულის-კვეთებას და ტანჯვას ან სიხარულსა და მისწრაფებას და შემდეგში თვითონვე სტკბება ამ ქნარის სიმთა ჟღერით.

ის სარკეა, რომელშიაც ისახება ადამიანის ნაზი გრძნობა, მისი სული და გული; ამ სარკეს ჩასცქერია ადამიანი და თვითონვე აღტაცებაში მოდის იქ ნაჩვენები სურათის სილამაზითა და სინაზით.

ის მოსეს კვერთხია, რომელიც გზას უხსნის ადამიანის სულს მის ასამაღლებელათ და განსასპეტაკებლათ.

ის აღვიძებს ადამიანში ათასნაირ სოციალურ, ზნეობრივ და ფილოსოფიურ კითხვებს და აცხოველებს სიყვარულს სიმართლისა და ჭეშმარიტებისადმი, რომელთაც ჩვეულებრივ დროს ისე გულგრილათ უხვევს ხოლმე კაცი გვერდს.

მართლაც აიღეთ ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივი ადამიანი, მიუხედავად იმისა ბატონია იგი თუ მონა, კმაყოფილი თუ უკმაყოფილო და გადახედეთ მას თავიდან ბოლომდის, ის ყოველთვის უფრო ცხიერია—ვიდრე სიმართლის მოყვარული, უფრო სასტიკია—ვიდრე გულრბილი, უფრო მთხოვარაა—ვიდრე მოწყალე და უფრო ეგოისტია—ვიდრე ალტრუისტი.

მაგრამ რა საოცრათ იცვლება ის, როცა ყურს უგდებს ამ ქნარის სიმთა ჟღერას, ჩასცქერია ამ სარკეში ნაჩვენებ დიად სურათს და ჰხედავს თავისუფლად გახსნილ გზას, რომელსაც მიჰყავს მის სულიერი სიმდიდრისა და შემოქმედების ასაყვავებელად.

რა სანეტარო აღფრთოვანებასა გრძნობს მაშინ მისი არსება! მისი ფიქრები მუშაობენ უფრო თავისუფლათ,

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა სავსებით არ ვეთანხმებით. რედ.

ღრმად და ფართედ; გრძნობები ხდებიან უფრო წმინდა, ამაღლებული და ადამიანური; მისი გული უფრო რბილდება, სტკბება ნაზდება, და იზრდება, ფართოვდება და ლამაზდება მისი სულის სამეფო და მაშინ ის, ის აღარ არის, რაც იყო და იცის, რაც უნდა იყოს. მაშინ ის გრძნობს, რომ ბუნება არის მასში და თვითონ კი ბუნებაში.

მაშინ ბაგენი მისნი ებაასებიან უხილავ ქვეყნებს, ხელები ეპოტინებიან განუზომელ სამყაროს და ფიქრები კი სცურავენ თვალ-უწვდენელ ცის სივრცეში.

მაშინ მთელი მისი არსება იქცევა სულიერ მონად, რომელიც დაფრინავს ცხოვრებისა და ქვეყნიურ საიდუმლოებათა შორის, სწვდება მათ უხილავ სიღრმეში და თითონაც იქცევა საიდუმლოებათ.

დიახ, დიდია, დიდი ლიტერატურის გავლენა ადამიანზე და რამდენადაც უფრო კულტურულია ადამიანი, რამდენადაც უფრო ნაზია მისი არსება, იმდენად უფრო მეტია ეს გავლენა მასზე.

მრავალი ერის ცხოვრებაში არიან ისეთი პერიოდები, როცა მათი კულტურული ცხოვრება, მათი სულიერი მისწრაფება გამოიხატება უმთავრესად მხატვრულ ლიტერატურაში. ამის ნამდვილ მაგალითად ჩაითვლება რუსეთის ცხოვრება მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ეს უშველებელი პერიოდი რამოდენიმე წლით შეწყვეტილ იქნა ნიკოლოზ პირველის რეაქციის დროს და ყირიმის ომის შემდეგ კი ისევ განახლდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში კი მეორედ შესწყდა ეს პერიოდი, როცა რევოლიუცია დაიწყო, მაგრამ რევოლიუციის მორჩენისათანავე ის ისევ განახლდა და დღე და დღე იზრდება ჩვენ თვალწინ.

ქართველი ხალხის ცხოვრებაშიაც იყო ისეთი პერიოდი, როცა მისი სულიერი ცხოვრება და მისწრაფება გამოიხატებოდა უმთავრესად მარტო მხატვრულ ლიტერატურაში; მაგრამ ეს პერიოდი შესწყდა რევოლიუციის დაწყებაზე ბევრით ადრე და აღარც რევოლიუციის მორჩენის შემდეგ განახლებულა.

რათ მოხდა ასე და სად უნდა ვეძებოთ ამისი მიზეზები?

პირველ და უმთავრეს მიზეზათ ჩაითვლება მატერიალურ საშუალებათა ნაკლულევანება.

ჩვენ ლიტერატურას არ შეუძლიან დამოუკიდებლად არსებობა. ის წინადაც სამადლო ყოფილა და ეხლაც სამადლოთ განაგრძობს თავის არსებობას. რადგან იმით არც ჩვენ მწერლებს შეუძლიანთ თავის რჩენა და არც გამომცემლებს. თუ ვინმე რამეს დასწერს, დასწერს სამადლოდ, როცა მას ხალისი მოუვლის და ცოტაოდენი თავისუფალი დროც დარჩება დღიური შრომის შემდეგ, უმისოდ კი ის თავს არ შეიწუხებს, რადგან იცის, რომ ეს თავის შეწუხება არაფრით არ იქნება გამოსყიდული.

აბა გადახედეთ ჩვენ საუკეთესო მწერლებს, ვინ არიან ისინი? ბარათაშვილი, ჭავჭავაძეები, ერისთავები, ორბელიანები, წერეთლები და სხვა. ყველანი თავადები არიან. ერთი არ არის მათში გლეხი ან მუშა.

რათ მოხდა ეს? ნუ თუ ნიჭიერები მარტო თავადებში არიან და მათ მსგავსი ერთი ადარავინ არ გამოერია ან გლეხებში ან მუშებში? მაგრამ აი სწორედ ეს არის ჩვენი სამადლო ლიტერატურის ნამდვილი დამახასიათებელი.

ჩვენში ქონებრივათ დაკმაყოფილებული იყო მხოლოდ თავად-აზნაურობა, ისინი უშრომელად, უწვალებლად სცხოვრობენ ყველაზე უკეთესად და მთელი სიცოცხლეც მათთვის წარმოადგენს თავისუფალ დროს. ასეთი პიროზები კი მათ ხელს უმართავდენ თავისუფლად მოეკიდათ მწერლობისათვის ხელი და სულით და გულით ეშრომათ ამ ნიადაგზე, როგორც კი შეუძლიან იშრომოს ქართველ კაცს. ისინი თავიანთ შრომაში არაფერ სასყიდელს არ თხოულობდენ და პირიქით ლიტერატურაზე შეეძლოთ კიდეც მოეხმარებინათ სხვა წყაროებით ნაშოვნი ქონება.

სხვები კი იძულებული არიან მარტო შრომით ირჩინონ თავი, და ბევრიც რომ ჰქონდესთ მწერლობითი ნიჭი, კუთხეში უნდა მიაგდონ ეს ნიჭი, რადგან მწერლობა მათ არაფერს ცხოვრების წყაროს არ მისცემს და იძულებულნი არიან სხვა გზა აირჩიონ ცხოვრებაში, რითაც ასე თუ ისე უზრუნველ ჰყოფენ თავიანთ არსებობას.

იმ დროს, როცა რუსულ ლიტერატურამ მრავლად შეიძინა საუკეთესო მნათობები ეგრედ წოდებულ „რაზნოჩინთა“ წრიდან, ჩვენში **მარტო თავადების** ხელში იყო ჩვენი ლიტერატურის სვე-ბედი.

მოგვაგონებენ ნინოშვილს ჩვენი „რაზნოჩინების“ წარმომადგენელად, მაგრამ აკი იმისმა ნიჭმაც სავსებით ვერ გაშალა ფრთა და ისიც სიღარიბისა და გაჭირვების უდროვო მსხვერპლად შეიქმნა.

რომ ჩვენ ლიტერატურას შესძლებოდა ცოტაოდენი ცხოვრების საშუალება მაინც მიეცა თავის მუშაკებისთვის, მაშინ ცხადია თავადების გარდა ბევრი ლიტერატორები გამოჩნდებოდენ ჩვენი გლეხებისა და მუშათა წრეებიდანაც, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ არის.

შეიძლება ვინმემა სთქვას, თავადები თუ წინეთ სწერდენ, რატომ ეხლა აღარა სწერენ? რამ გამოიწვია ეხლა ჩვენი ლიტერატურის შეჩერება?

მართალია თავადები ეხლაც არიან, შეიძლება მწერლობაც შეეძლოს ბევრს, მაგრამ დროება გამოიცვალა; მშვიდობიანი ცხოვრება სასტიკ ბრძოლად გადაიქცა, მორჩილი მონა შეუბრალებელ მოწინააღმდეგეთ გამხდარა, ხალხისა და თავად-აზნაურობის ინტერესები ერთიმეორეს შეეჯახენ სასტიკად და ამ **გამწვავებულ ბრძოლაში რომელ თავადს მოაგონდება მწერლობა?**

მწერლობის მასალა რომ ცხოვრებიდან უნდა ამოიღო, ის უნდა შეფარდებული იყვეს ხალხის ინტერესებსა და მისწრაფებასთან, ის უნდა ეთანხმებოდეს კაცობრიობის წინ-სვლას, პროგრესს. ყველაფერი ეს კი მიმართულია ჩვენი შეძლებული თავად-აზნაურობის წინააღმდეგ და ცხადია ამ პირობებში მწერლობა ვერ აღორძინდება.

როგორც ვსთქვით ჩვენი ლიტერატურის განვითარების უმთავრესი დამაბრკოლებელი არის მატერიალური

ნაკლულევანება. მეორე მიზეზი კი უნდა ვეძებოთ თვითონვე ჩვენ ხალხის ბუნებასა თუ ხასიათში.

ჩვენ, როგორც ბრბო, მასსა, მოწინავეცა ვართ, აქტიურიც და ინიციატორულიც, მაგრამ ჩვენში იშვიათად მოიპოვება ისეთი ნათლად ჩამოყალიბებული პიროვნება, რომელიც დაჯილდოვებული იყვეს ამ სამივე თვისებით.

რამდენადაც მაღლა ვდგევართ მასსიურათ, იმდენად დაბლა ვდგევართ როგორც განვითარებული, ძლიერი პიროვნება.

მართლაც აბა დააკვირდით ქართველ კაცის ჩვეულებრივ თვისებას, ის ნამდვილ საზოგადო მოღვაწეობას ეწევა უმთავრესად 25 წლამდის და იშვიათად 30 წლამდეს, შემდეგ ვითარდება მასში საკუთარი ფიქრებისა და მოქმედების რეფლექსია, ამას მოსდევს სკეპტიციზმი, სკეპტიციზმს—აპატია და ბოლოს ნელ-ნელა ეშვება თავისი სულიერი ცხოვრების ნირვანაში.

იმ დროს როცა სხვა ქვეყნის მწერლები ღრმა მოხუცებულებამდის და ხშირად სიკვდილამდისაც არა სდებენ ძირს კალამს, ჩვენი მწერლები შუა ხანაში უკვე მოქანცულები არიან. მოქანცულები არიან არა შრომით, არამედ უენერგიობით და თავიანთ თავის კრიტიკით. ამას წინეთ ერთ ნაცნობ მწერალსა ჰკითხეს, თუ რათ მიატოვა წერა და იმანაც ფლეგმატიურათ უპასუხა: „ეჰ, ისეთი რა უნდა დავსწერო, რაც სხვას არ დაუწერია“-ო. ის კი ჯერ 35 წლისაც ძლივს არის, სწავლაც შესწევს, ნიჭიც აქვს, მაგრამ იგრეა ჩაფლული თავის-თავის გამაქარწყლებელ კრიტიკაში.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რომელიმე ძლიერი პიროვნება გააპობს ყოველგვარ დაბრკოლებას და ძლიერად გამოაწუქებს ხოლმე თავისი ნიჭით, როგორც მაგალითად გორკი, სენკლერი (ამერიკაში) და სხვა.

თუ შევადარებთ რუსებს ვნახავთ, რომ ჩვენში პიროვნება უფრო სუსტია ვიდრე იქ და გარეშე პირობები კი დღეს აქ უფრო ბევრით დამბრკოლებელია, ვიდრე იქ. ამიტომ ისეთი მაგალითი, როგორც გორკი ჩვენში თითქმის შეუძლებლადაც უნდა ჩაითვალოს. იქ ერთხელ თუ გააპე გზა, შემდეგში მაინც თავისუფლად შეგიძლიან სიარული, ჩვენში კი ოცჯერაც რომ გააპო გზა, მაინც კიდევ ახლად გიხდება ბრძოლა ახალი გზის გასაკაფავად.

თუ ყველა ამ მიზეზებს მივიღებთ მხედველობაში, ვნახავთ რომ ჩვენი ლიტერატურის ახლო მომავალი ისეთ სასიამოვნოს არაფერს არ გვიქადის, მაგრამ რამდენიმედ მაინც შეგვიძლიან დავაღწიოთ თავი ამ ლიტერატურულ რეაქციას თუ კი ცოტაოდენ უნარსა და წინდახედულებას მაინც გამოვიჩენთ.

ლევ. მეტრეველი.

Pro domo sua.

გაზ. „ნაპერწკალის“ რედაქციამ, ამას წინათ, გამოუშვა გრძელი განცხადება (იხ. „ნაპ. №6), რომელიც ჩვენ გვეხება, ჩვენგან პასუხს ითხოვს და ალბათ ამასვე ელის მკითხველების ერთი ნაწილი მაინც.

უნდა გამოვტყდეთ და ვაღიაროთ, რომ ეს პასუხი ჩვენთვის მეტათ სამძიმო არის, რადგან გარემოება ნებას არ გვაძლევს ყველაფერი ვთქვათ, რაც სათქმელია, რაც საჭიროა საქმის სისწორით, სინამდვილით წარმოსადგენათ. ჩვენ იძულებული ვართ ბევრ რამეს მხარი აუქციოთ და ქარაგმებით ვილაპარაკოთ. გაზ. „ნაპერწკალს“ ეს ყველაფერი კარგათ მოეხსენებოდა, მან კარგათ იცოდა, რომ ჩვენი სათქმელი ერთობ ვიწროთ იქნებოდა შემოფარგლული, მაგრამ მაინც უკან არ დაიხივა და საპასუხოთ გამოგვიწვია...

„ნაპერწკალის“ რედაქცია იწყებს იმით, რომ აბათილებს საზოგადოებაში გავრცელებულ ხმებსა და ჭორებს, ვითომ იგი (რედაქცია) გადაქცეულიყოს მონასტრათ, ვითომ მას თავისი წრიდან გაეძევებინოს ლ. დ—ი და ან აეკრძალოს ამისთვის თავის ორგანოს ფურცლებზე წერა ნაციონალურ საკითხის შესახებ. იგი იმასაც დასძენს, ვითომ ამ ხმებისა და ჭორებისათვის ხელი შეეწყოს ჟურნალ „ალიონის“ სარედაქციო წერილს, სადაც, სხვათაშორის, აღიარებული იყო კრიტიკის საჭიროება.

შეგვიძლიან დავამოწმოთ, რომ „ალიონის“ ამ წერილს განსაკუთრებით სახეში არა ჰქონია „ნაპერწკალის“ რედაქცია. ეს უკანასკნელი არა ყოფილა „იდეიური მონასტერი“. ვაღიარებ იმასაც, რომ იმათი მხრივ ჩემს წინააღმდეგ არავითარი დევნა არ ყოფილა გამართული. პირიქით აღფურვილი ვიყავი უმაღლესი ნდობით, რადგან—როგორც „ნაპერწკალიც“ მოწმობს—ჩაბარებული მქონდა დიდათ საპატიო და მასთან დიდათ პასუხ—საგებელი თანამდებობა—ორგანოს ხელმძღვანელობა. იმ გაზეთში წერა ჩემთვის არავის არ აუკრძალავს. გაზეთს თავი დავანებე ჩემი საკუთარი სურვილით.

რედაქცია რომ ამ განცხადებით დაკმაყოფილებულიყო, სათქმელი აღარაფერი გვექნებოდა. მაგრამ ის თურმე სულ სხვა მიზნით ყოფილა ამოძრავებული. იგი ესწრაფვის თავისი და ჩვენი მკითხველები დაარწმუნოს, ვითომ ჟურნალ „ალიონის“ მთელი საქმე გაჯავრებულ ადამიანისაგან მოგონილი ამბავიაო. და ამ—მეტი არა ვთქვათ—უკეთურ წადილის მიღწევას იგი ცდილობს უკეთური ზომებითვე. მაგრამ დავიწყოთ თავიდან. გაზ. „ნაპერწკალი“ სწერს:

„ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლ. დ. ამხანაგების ნდობას და აზრის თავისუფლებას, რომლითაც იგი სარგებლობდა ჩვენს წრეში, ხშირათ ბოროტათაც ხმარობდა. მაგალითისთვის ავიღოთ მისი „საგაზეთოშორისო ინტერვიუ“ (იხ. „წყარო“ №30,) რომლითაც მან ააყაყანა ფედერალისტთა ბანაკი.“

შემდეგ გაზეთი დასძენს: „ლიტერატურული რიგიანობა და საქმის ინტერესები მოითხოვ ა ლ. დ—ს გამოცხადებია გაზეთის საშვალებით, რომ ხსენებული „სტატია“ მას ეკუთნოდა და არ გამოხატავდა მთელი რედაქციის შეხედულებას. მარა მან ეს არ ქნა, თუმცა კერძოთ ამხანაგებს არა ერთხელ და ორჯერ მიუთითებიათ მისთვის ამის საჭიროებაზე“.

საკვირველია მხოლოთ ერთი რამ—ლიტერატურული რიგიანობა ილახებოდა, საქმის ინტერესები იჯაბნებოდა და არც სარედაქციო კოლეგიაში და არც რაიმე „დაწესებულებაში“ არ გამოჩნდა არც ერთი ისეთი ადამიანი, რომ ამაზე სიტყვა დაელაპარაკნა! ანუ კიდევ განა რიგიანობა და საქმის ინტერესები ისეთი ბუნდოვანი რამეა, რომ ამ მხრივ რაიმე საქციელის თუ მოქმედების დაფასება მოითხოვდეს ფიქრს მთელი წელიწადების განმავლობაში?! მაგრამ საქმე ასე გახლდათ.

„წყაროს“ ზემოხსენებული წერილი სოც. ფედერალისტების დახმარებით ზოგმა ისე გაიგო, ვითომ ჩვენ ს. ფ—ს ვეთანხმებოდით ნაციონალურ საკითხში, ვითომ ჩვენ უმეტ-ნაკლებოთ ვიღებდით მათ ნაციონალურ პროგრამას. აი სწორეთ ამიტომ მე იმავ „წყაროს“ ფურცლებზე რედაქციის სახელით გამოვაცხადე, რომ ჩვენ სრულებითაც არ ვეთანხმებოდით ს. ფ.—ს ნაციონალურ საკითხში და თან დავძენდი: თუნდ კიდეც მოხდეს როდისმე შეთანხმება ნაციონალურ პროგრამაში, ამით მაინც ვერ ამოივსება ის ორმო, რომელიც გათხრილია ჩვენ შორის, რადგან ერთობ დიდია განსხვავება ჩვენსა და იმათი მსოფლმხედველობის შორისო. ყველა ეს იმდენათ მკაცრათ იყო გამოთქმული, რომ სოც. ფედერალისტები მკაცრათვე გვიპასუხებდენ: აი დღეიდან, როცა თქვენ უკვე ავტონომიაზე ალაპარაკდით, სწორეთ დღეიდან იწყება ჩვენს შორის სასტიკი ბრძოლაო და სხ.*)

„ნაპერწკალი“ სწერს: ლ. დ. ისევ ისე განაგრძობდა გაზეთის ხელმძღვანელობას. პასუხის მგებელი რედაქტორის ხელ-ახალი არჩევის დროს იგი, მიუხედავათ ამისა, ისევ დარჩა თავის ადაგას.

გამოდის რომ ლ. დ. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამხანაგთა ჩივილსა და საყვედურს, რომ იგი პირიქით, ცდილობდა ამხანაგთა სურვილის წინაალმდეგ ხელიდან არ გაეშვა რედაქტორობა და ისევ დარჩენილიყო თავის ადგილზე. ნამდვილათ კი, საკმაო გახდა სულ მცირედი უკმაყოფილება ამხანაგების მხრივ, რომ მე უმალვე დამეყენებინა ნდობის საკითხი. რედაქტორის ხელ-ახალი არჩევნები მოხდა ჩემის თაოსნობით. რედაქტორის ასარჩევ კრებას, რომელსაც დაესწრენ სარედაქციო კოლეგიის წევრებს გარდა აგრეთვე „დაწესებულებათა“ წარმომადგენელნი, ამავე კრებას მე ვთხოვე მოესმინა და განეხილა რამდენათ მართალი იყო, ვითომ მე გადამეხვიოს რაიმე დირექტივისათვის. კრებამ სრულებით არ ისურვა ამ საკითხზე ლაპარაკი და უფროს რედაქტორათ ისევ მე ამირჩიეს ერთხმათ.*)

აქედან ცხადია რა ფასი უნდა ჰქონდეს „ნაპერწკალის“ ზემოხსენებულ ბრალდებათ.

ყველა ის წერილები, რასაც ასახელებს და ან გულისხმობს გაზეთი „ნაპ.“, დაწერილია ზოგადი ტერმინებით; იმ წერილებს მიზნათ ჰქონდა მხოლოთ იმ ბურუსისა და მტრულ განწყობილების გაფანტავა, რომლითაც გარემოცული იყო ნაციონალური საკითხი. უწინარეს ყოვლისა მინდოდა ნიადაგის შემზადება, რათა ნაყოფიერი გამხდარიყო თვით საკითხის გარკვევა და ნაციონალურ პროგრამის წამოყენება. ის იყო კიდეც უნდა შევდგომოდი ამ პოზიტივურ საქმეს, რომ გარემოება შეიცვალა. მოვიდა ესტაფეტი და გვეუწყა:

„ეს ერთი ხანია პარტიაში გაჩენილა шатаніе мысли по національному вопросу; пора этому положить конецъ (აზრის რყევა ნაციონალურ საკითხის შესახებ და ამას დროა ბოლო მოეღოს). ..

დაიბეჭდა წერილი „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“. მაგრამ ამას დართული ჰქონდა ჩემ მიერ გაკეთებული სარედაქციო შენიშვნა... ინციდენტს გაზ. „ნაპერწკალი“ ასე გადმოგვცემს:

ლ. დ—მა გაუკეთა შენიშვნა სტატიას „ნაციონალიზმი და ქართველი ხალხი“ კოლეგიის დაუკითხავათ და, რაც უფრო საყურადღებოა—მთელი რედაქციის სახელით. კოლეგიის კრებაზე, სადაც ლ. დ—ს საქციელი განხილულ იქნა, მან პირველათ იმით დაასაბუთა თავისი უზურპატორული მოქმედება, რომ სტატია დაცინის ეროვნულ გრძნობებს **და ამიტომ ვფიქრობდი ყველა დამეთანხმებოდა ამ შენიშვნაზეო, მარა შემდეგ, როცა** მას დაუმტკიცეს, რომ არაფერი ამის მსგავსი ხსენებულ სტატიაში არ არის, მან მაშინ შესცვალა პოზიცია და დაიწყო მტკიცება, რომ ავტორი **ნაციონალურ საკითხში ძლიერ შორს მიდის,** (კურსივი ჩვენია) იგი ხოტბავს კულტურულ ავტონომიას, რისი დადგენილება ჯერ „კომპეტენტურ“ დაწესებულებას არ გამოუტანია და ამიტომ ვალდებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავიო. ამ ეთი წინააღმდეგობით მოთმინებიდან გამოსული სარედაქციო კოლეგიის ერთი წევრი მას მკაცრი სიტყვებით შეეხო. რედაქციამ გამოაცხადა, რომ ეს შენიშვნა მას არ ეკუთვნოდა და ინციდენტი ამით გათავდა.

თავიდან ბოლომდე საქმე მრუდეთ არის გადმოცემული. „ნაპერ.“-ის აზრით თურმე იქ, სადაც კოლეგიალური რედაქციაა, უფროს რედაქტორს კოლეგიის დაუკითხავათ არა რომელ შემთხვევაში ნება აღარ ჰქონებია რაიმე ნაბიჯი გადადგას კოლეგიის სახელით, ე. ი. თითქოს კოლეგიის თავმჯდომარეს არავითარი დისკრეციონური უფლება აღარ ჰქონებოდეს. აგრე რომ ყოფილიყო, ეს კოლეგიალური მუშაობა ნამდვილათ იქნებოდა

---

*) მოგვყავს ეს ზეპირათ, რადგან ხელთ არა გვაქვს საჭირო №№.

*) წინააღმდეგ იყო მხოლოთ ერთი, მარა-ესეც როგორც თვითონ განაცხადა იქვე-ისეთი მოტივებით, **რასაც არაფერი საერთო არა აქვს რედაქტორის ღირსება-ნაკლულევანებასთან.**

იგივე ბიუროკრატიზმი, მხოლოთ შებრუნებული. აღებულ შემთხვევაში, „ნაპერ.“-ს კარგათ მოეხსენება, რომ კოლეგიის კრების გამართვა ფიზიკურათ შეუძლებელი გახდა. გარემოება—დამოუკიდებელ მიზეზების გამო—ისე მოეწყო, რომ მე ან გაზეთი უნდა შემეჩერებინა და ან გამეშვა სტატია „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“. მე ვარჩიე უკანასკნელი და თან მივეცი შენიშვნა, რომელიც გამოხატავდა სიმართლეს. ამგვარათ, უზურპაცია კი არ მოვახდინე, არამედ ვისარგებლე ჩემი ხელუხლებელ დისკრეციონულ უფლებით. მე, რასაკვირველია, ყოველთვის მზათ ვიყავი პასუხი მეგო კრების წინაშე.

„ნაპერწკალი“ კოლეგიის კრებას ისე გადმოგვცემს, თითქოს, მას განსახილველი ჰქონოდეს საკითხი — ლ. დ-მა როგორ გაბედა და არ დაეთანხმა ანის წერილებს, თითქოს მართლა მონასტერში მოვტანებოდეთ, რომელიც თავის წრიდან აძევებს ყველას, ვინც კი ერთხელ მიღებულ აზრს რამეში გადაუხვევს. ეს ამკარა ცილის წამება იქნებოდა. ნამდვილათ კრება მოწვეულ იქმნა მხოლოთ იმის გასაგებათ, თუ კოლეგიის სხვა წევრები რა აზრისა იყვენ სტატიაზე—ეთანხმებოდენ ყველაფერში თუ არა და რამდენათ საფუძვლიანი იყო ჩემი შენიშვნა. ხაზ-გასმული სტრიქონები სრულბით მე არ მეკუთვნის; ეგ სიტყვები არასოდეს არ მითქვამს. ნაციონალურ გრძნობას რომ სათუთად არ ექცეოდა აღნიშნული სტატიები („ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“) ამას ეხლა მგონია თვითონ ავტორიცა გრძნობს, მაგრამ ამ გარემოებაზე მე არაფერი არ დამიმყარებია. მართალია შემეკითხენ—რატომ არ ეთანხმები სტატიასო, მარა მე უმალვე ვუპასუხე, რომ ეს უქმი საკითხი იყო, ეს არ შეადგენდა საგანს კრებისას, რომ ამ უკანასკნელს მხოლოთ ხმები უნდა დაეთვალა და გაეგო რამდენი ეთანხმებოდა, რამდენი არ ეთანხმებოდა —(სტატია უკვე დაბეჭდილი იყო, ის ყველას წაკითხული ჰქონდა და თავისი აზრიც მოფიქრებული—ამასთან კრება ისეთი აღელვებული იყო, რომ ნაციონალურ საკითხზე თათბირი—სურვილიც რომ გვქონოდა—სრულიად უადგილო და მოუხერხებელი იქნებოდა).

„ავტორი ნაციონალურ საკითში ძლიერ შორს მიდის, იგი თხოულობს კულტურულ ავტონომიას“ო, ეს აგრე არ მითქვამს. მე მხოლოთ იმას ვუმტკიცებდი კოლეგიის წევრებს, რომ თუ ამათ უნდოდათ ერთგულათ მდგარიყვენ პარტიის არსებულ დირექტივებზე, ვალდებული იყვენ გამოეცხადებინათ, რო ისინი არ ეთანხმებოდენ სტატიას, რადგან ამ უკანასკნელში მოთავსებულია შემდეგი სტრიქონები: „ქართველი სოციალ-დემოკრატია თავის ერისთვის თხიულობს კულტურულ ავტონომიას“. ვუმტკიცებდი, რომ არავითარი ასეთი ავტონომია არასოდეს არ ყოფილა პარტიისაგან მოთხოვნილი, რომ არაფერი ამის მსგავსი არც ერთ „დაწესებულების“ დადგენილებაში არ იყო აღნიშნული და რომ ეს—„ქართველი ერის კულტურული ავტონომია“ პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა კიდეც არსებულ დადგენილებას. მე სავსებით დამეთანხმა კოლეგიის ერთი წევრი, მ—ა; მეორეც (ს—ი) მეთანხმებოდა, მარა გაუბედავათ,—კარგათ არ მახსოვს დადგენილებანი და ამიტომ ვარჩევ თავის შეკავებასო. განსახილველ სტატიას დაეთანხმა მხოლოთ ერთი წევრი (x). და აი როცა, ამ რიგათ, აღმოჩნდა, რომ სტატიას კოლეგიის უმრავლესობა არ ეთანხმებოდა, აი მაშინ მოხდა ის, რომ „მოთმინებიდან გამოსული სარედაქციო კოლეგიის ერთი წევრი მას (ე. ი მე) მკაცრი სიტყვებით შეეხო“. ამ „მკაცრმა სიტყვებმა“ც სავსებით მიაღწიეს თავის **ნამდვილ დანიშნულებას**: ზემოხსენებულ ამხანაგებმა უარჰყვეს ერთი წუთით წინ გამოთქმული თავისი შეხედულება და აზრის სუვერენული უფლება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა ფიანდაზათ გაუშალეს **„ერთ წევრს.“** აღიარეს, რომ სტატიას, „ქართ. ხალ. და ნაც.“ ისინი ეხლა სავსებით ეთანხმებოდენ.

ამ რიგათ, არამც თუ ის გახდა შეუძლებელი, რომ გაზეთში ამხანაგებისათვის გაგვეხსნა „თავისუფალი ტრიბუნა“ ნაციონალური საკითხის შესახებ, არამედ, თვით სარედაქციო კოლეგიაც ყინულზე დაწერილი თამასუქი აღმოჩნდა, რადგან, ჩემს გარდა, ყველა სხვა წევრები გა-ლესნენ „ერთი წევრის“ პიროვნებაში. აი ამ მიზეზების გამო განვუცხადე, სადაც ჯერ იყო, რომ თავს ვანებებდი გაზეთის ხელმძღვანელობას და შევუდექი იმის სისრულეში მოყვანას, რასაც მიკარნახებდა ჩვენი საერთო საქმის ინტერესები. ის მოსაზრება და გარემოებანი კი, რასაც „ნაპერწკალი“ ასახელებს გაზეთიდან ჩემი წასვლის მიზეზათ, ყველა ეს, თქმა აღარ უნდა, მოკლებულია სიმართლეს.

დასასრულ, უნდა ვაღიარო ჩემი პირადი რწმენა, რომ ჩემსა და სარედაქციო კოლეგიის „ერთ წევრ“ შორის მომხდარი კონფლიქტი არ ყოფილა გამოწვეული არავითარი პირადი ხასიათის მიზეზებით, არავითარ წყენასა და პირად უსიამოვნებას ჩვენში ადგილი არა ჰქონია არასოდეს, ჩვენ შორის მუდამ არსებობდა მხოლოთ მეგობრული განწყობილება. მარა საქმე ის არის, რომ იგი ესწრაფოდა გაემაგრებინა პარტიაში უკვე შერყეული აზრი და განემტკიცებინა ძველი დადგენილება*), რადგან ის ამაში ხედავდა ჩვენი საზოგადოებრივი საქმის სიკეთეს. მე კი დაინტერესებული ვიყავი სწორეთ ძველი აზრის შერყევაში, რადგან მხოლოთ ამ გზით შეიძლებოდა ძველი დადგენილების უარყოფა და ახალი აზრის, ახალი დადგენილების მიღება, რაიც, ჩემი ღრმა-რწმენით, აუცილებელი პირობაა მუშათა საქმის საბო

*) ზემოთ მოყვანილი სტრიქონები ქართველი ერის კულტურულ ავტონომიის შესახებ, როგორც შემდეგში გამოირკვა, ავტორის მხრივ ყოფილიყო, მხოლოთ Lapsus calami (შეცდომით დაწერილი ფრაზა). მართალია ბოლოს მან თვითონ შეიტანა რამოდენიმე ცვლილება (იხ. „ცისასარტყ.“ № 10) იმ დადგენილებაში, მარა ეს მოხდა მაშინ, როცა ჟურნალ „ალიონის“ გამოცემის იდეა უკვე რამდენიმე თვე დასტრიალებდა ამხანაგთა წრეებს, როგორც იმედი ერთი მხრისათვის და გაფრთხილება მეორეთათვის.

ლ. დ.

ლოო გამარჯვების შესამზადებლათ. ჩვენ ორივეს გვამოქმედებდა ერთი და იმავე საქმის ინტერესები და აი, როცა ამ ნიადაგზე-ჩვენ ერთმანეთს შევხვდით მოწინააღმდეგეებათ, პირადმა მეგობრობამ, ჩვენდა საბედნიეროთ, გზა ვერ შეუკრა საზოგადო საქმის სიყვარულსა და ჭეშმარიტებას!...

ლ. დ.

პროვინცია.

სოფ. რუისპირი (კახეთი). თუმცა აქაური ადგილი უხვათ არის ბუნებისაგან შემკული მშვენიერი ვენახებით და მინდორ ველით, რომლის ნახვაც თვალს ნეტარებას უძღრავს, მაგრამ ეს ამოტელა ვენახები, საყანე და ტყეები შეადგენს ერთი მუჭა მემამულების საკუთრებას. აქედან გლეხებს ძალიან ცოტა ნაწილი ეკუთვნის, ადგილი იმოტოლას არას გვაძლევს, რომ ჩვენზე გაწერილი ათასნაირი ხარჯები გადავიხადოთ, ამას ზედ დაურთო პურის მოუსავლობა, რითაც უურო გასაჭირში ჩავცვივდით, მაგრამ ვის ვაგონდებით, ან ვის დეეწვის ჩვენზე გული! ჩვენ ბევრ დროს უფრო მემამულეების ადგილში ვმუშაობთ და დღიურ ქირათ ვღებულობთ 50 კაპ. ჩვენ მოვიწადინეთ ჩვენი პირობების ოდნავ გაუმჯობესება და შარშან, შემოდგომაზე, როდესაც მოსავლის პირი იცინის და მზათ არის მოსაკრებათ და ამის მომკრეფლათ კი, როგორც ამბობენ, ღმერთმა ჩვენ გაგვაჩინა, მოვთხოვეთ მემამულეებს დღიურ ქირათ ერთი მანეთი. ჯერ ეს ხაზეინებს არ ეპაშნიკათ და ცივი უარი გვითხრეს, ამან გვაიძულა გავფიცულიყავით. გაფიცვამ მიზანს მიაღწია, ხაზეინები დაგვთანხმდნენ, მაგრამ ჩვენი გამარჯვება არ გამოდგა ხანგრძლივი. როდესაც ხაზეინებმა დრო იხელთეს, მოიწადინეს ძველი წესების აღდგენა. რადგან ეს მარტო თითონ ვერ გაბედეს, მიმართეს ძალებს, რომ არა საიმედო პირები დაეჭერინებათ დ გადაესახლებინათ. მემამულეების მოქმედებამ ჯერ-ჯერობით უნაყოფოთ არ ჩაიარა. 6 სული უკვე გაადევეს.

თუ ბატონი მამამულეები არ დაიშლიან თავიანთ სამზირო მოქმედებას და ისედაც გაძვალ-ტყავებულ გლეხ-კაცობას ამ მხრითაც დაუწყებენ შევიწროებაშეწუხებას, ჩვენ იძულებული ვიქმნებით გამოვაცხადოთ გაზეთებში მათი სახელი და გვარი, რომ მათ უმგზავსო სიქციელს ფართე საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი.

აქაური.

სოფ. ოფეთი. (გურია). ყველასათვის ცხადია, რომ სოფლის ერთ ერთ უმთავრეს საჭიროებას შეადგენს სასოფლო საურმე გზა და მისი შეკეთება; მიუხედავათ ამისა მუხთურუის კანცელარიიდან დაწყებული სოფელ კომულამდე ისეთ წამხდარი გზებია, რომ კაცს უჭირდება ურმის წაღება. ამას ზედ ერთვის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ხელს უწყობს უგზოობას და მცხოვრებლებს სრულიად უგზოთა სტოვებს. ამასწინეთ ზურაბ და ისაკ ჩხეიძეებმა, ფირანა და გიგო გოგიშვილის ადგილში, სოლომონ მეგენეშვილის ეზოდან დაწყებული ანდრია გოგიშვილის ეზომდე, ძალით მიითვისეს სასოფლო გზა და მთელი ორი სოფელი უგზოთ დასტოვეს.

ურიგო არ იქნება, რომ ვისიც ჯერ არს მიაქცევდენ ყურადღებას და, ვიდრე კაი დარია, შეუდგებოდენ გზების გაკეთებას.

ს. ფირანიძე

მუშათა შორის.

პარიკმახერების ცხოვრება. შეიცვალა თუარა პოლიტიკური პირობები, შეიცვალა ცხოვრების გზა მიმავალი გაუმჯობესობისაკენ. გამოუვეს თავი შეუგნებელმა პირებმა და ხელს უშლიან მუშათა საქმეს. მათ შექმნეს ისეთი პირობები, რომლისაგან ძნელია თავის დახწევა.

ამ სამი ოთხი წლის წინეთ თუ ხაზეინები თანაგვიგძნობდენ, ის იყო დროებითი. ისინი სხვაფერ ფიქრობდენ მაშინ და ამიტომ გვიცხადებდენ თანაგრძნობას. დღეს კი ისინი აშკარათ ილაშქრებიან მუშების წინააღმდეგ და ათას ხრიკებს მიმართვენ. ხშირათ ხაზეინები ატყუილებენ და ითანმებენ შეუგნებელთ; ეს აშკარაა დღეს ჩვენთვის. ამისთვის გვმართებს საქმეში გულდასმით ჩაკვირვება, რომ გავიგოთ და გამოვარკვიოთ ყოველი ჩვენი შეცდომები.

პირველი შეცდომა ჩვენი არის უზნეო-უოფაქცევა, რომელიც ჩვენ არ შეგვფერის და ჩვენი გონების დამაბნელებელია, მაგ. კარტის თამაში, ლოთობა, ერთი—ერთმანეთ შორის ინტრიგანობა, ქუჩური სიტყვებით მიმართვა და სხვა. ყველა ამით დღეს ხაზეინები სარგებლობენ, რადგან ჩვენის უვიცობის და მოუმზადებლობის გამო მზათ არიან წაგვართვან ყველა ის უფლებები, რომელიც ბრძოლით მოგვიპოვებია. მეორე შეცდომა ისაა, რომ ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ ხაზეინების მამაშვილური ქცევა, განათესავ-გამონათესაობა-ნათლიაობა და სხვა, ასეთები ძალა უნებურათ ბადებს ჩვენში ხათრს და მორჩილებას ხაზეინებისადმი. მესამე შეცდომა ისაა რომ ხაზეინებმა კრიზისის მიზეზით (თუმც კრიზისი ჩვენსკენ უფრო დიდია ვიდრე მათში) გადაჭრილ ჯამაგირის მაგივრათ 10%-თ მუშაობა წამოგვიყენეს; ყველა ჩვენ ამის წინააღმდეგ უნდა ვიყვეთ, რადგან %-თ მუშაობა გამოიხატება მეტი მოგების დაინტერესებაში, ის გამოიწვევს მეტ შრომის დახარჯვას და გადაჭარბებული საათების მუშაობას. ამას გარდა ისედაც გამრავლებულ უმუშევართა არმიას კიდევ მოუმატებს უმუშევართა რიცხვს. მიუხედავათ ამისა ზოგიერთ ალაგას კიდეც განახორციელეს პროცენტით მუშაობა. საჭიროა შეიგნოს ყველა ამხანაგმა რომ %-თ მუშაობა დამღუპველია მუშების. წინ სვლის მაგივრათ უკან ნუ დავიხევთ.

ს. ოკრიბელი

საზღვარ-გარეთ.

ქალების მანიფესტაცია საარჩევნო უფლებისათვის ლონდონში.

ვიქტორიის ნაპირზე, საიდანაც ჩვეულებრივათ გაემართებიან დემონსტრაციები ერთ-ერთ ლონდონის მოედანისკენ მე არა ერთხელ მქონია შემთხვევა მენახა დიდი მანიფესტაციები, მაგრამ ჩვეულებრივათ შეკრებილ მასის ხასიათი ცოტათ თუ ბევრათ ერთფეროვანია. დემონსტრანტები ეკუთვნიან ან ერთ კლასს, ან ერთ პროფესიას. სხვა პროფესიათა წარმომადგენელნი არიან შერეულნი იმრე ცოტა, როგორც პატარა ბრჭყვიალა ქარსი დიდ საქსის მორბვში. სრულიად განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა გუშინდელ დემონსტრაციას. ლონდონსა და პროვინციალურ ქალაქებიდან ათასობით შეიკრიბენ ბირჟაზე ქალები, რომ იქიდან წასულიყვენ ალბერტ-ჰოლში (დიდი დარბაზი), იქ გამოეცხადებიათ

პროტესტი პოლიტიკურათ დამონავების წინაალმდეგ. ჩვეულებრივათ ასეთ დემონსტრაციებს ლონდონში მართავდენ ქალები საშუალო და საშუალოზე მაღალ კლასებისა. გუშინდელ დემონსტრაციაშიაც ეს ქალები იყვნენ მეტი, მაგრამ მასში იღებდა მონაწილეობას მუშა ქალებიც, თუმცა მცირე რიცხვი. მაგრამ რაც კი გამოჩენილი და ნიჭიერი ინგლისის საშუალო კლასთა ქალებს შორის, შეიძლებოდა ენახა კაცს გუშინ ნაპირის ქუჩაზე. პროცესია გაგრძელებული იყო თითქმის სამ ვერსზე. ყოველგან სჩანდენ უზარ-მაზარი და პატარა დროშები. გუშინდელი მანიფესტაციის დროშები არტისტულათ იყო მოქარგული და დახატული მხატვარ ქალების მიერ, რომელნიც ეკუთვნიან ქალთა სწორუფლებიანობის კავშირს. დროშები აბრეშუმისა და ხავერდისა იყო.

უწინარეს ყოველისა მნახველს აოცებდა საკვირველი ორგანიზაცია: უთვალავი მანიფესტანტი-ქალები იყვნენ გაყოფილი, ასე ვთქვათ, რვა „კორპუსათ", თითეული კორპუსი შესდგებოდა 7-8 „რაზმისაგან". მაგალითათ მეოთხე ქორპუსს შეადგენდა მწერლები, არტისტები, მხატვრები, ნოქრები და მებაღეები.

მეორე კორპუსს ეკუთნოდენ ექიმები, ქალები მეცნიერის ხარისხით და სხვ.; მეხუთე კორპუსს—ქალთა კოოპერატიული ლიგის წევრნი, ეთიკური საზოგადოების მონაწილენი და სხვა. საუზსყორკის მუშა ქალები, წევრნი მუშათა ნაციონალურ კავშირისა. თითეულ „კორპუსს" და თითეულ „რაზმს" ჰქონდა თავის დროშა. ამას გარდა ბევრ დემონსტრანტებს ხელში ეჭირათ პატარა წითელი და მწვანე ბაირაღები.

პოლკთა დროშები ჩვეულებრივათ რომელიმე დიდი ქალის სახელს აღნიშნავენ. აი აბრეშუმის დროშა ანჟელინა კაუფმანის სახელით. მის ქვეშ გამწკრივებულია მხატვრები. შემდეგ რიგზე მიდის დროშები, ტრაგედიისა და კომედიის ტრადიციონალური სიმბოლების გამოხატულებით. მეექვსე მძიმე დროშა უჭერიათ დიდებულათ გამოწყობილ მშვენიერ არტისტკებს. დროშას მიყვებიან ლონდონისა და პროვინციის თეატრების დიდი და პატარა ვარსკვლავები (არტისტები) და მემუსიკეები. მუსიკის მასწავლებელნი და მომღერალნი სდგანან დჟენი ლინდის სახელობის დროშის ქვეშ. ერთ მედროშეს უჭირავს გამოჩენილი მომღერლის მკვიდრი ქალი ხელში. წყლიდან ნელი ქარი არხევს ხავერდ-აბრეშუმთა დროშებს დიდებულ რომანისტ ქალებისა და პოეტესების სახელით. აი დროშა პირველი ექიმი ქალი ელისავეტა აბლეკულელისა, (ის კიდევ ცოცხალია და მიუხედავათ იმისა, რომ ის 87 წლის მოხუცია ეტლით მიყვება პროცესიას) ამ დროშის ქვეშ სდგანან ახალგაზდა და მოხუცი ქალები მუქ და შავ მანტიებში ბერასტებით თავზე, ეს— მედიცინის დოქტორები და უფლებათა დოქტორები. იმათ წინ რამდენიმე საზოგადოებრივ მოღვაწე ქალები, რომლებსაც კაცები მოწიწებით უხდიან ქუდებს. ერთი სწავლულის მანტიით ქალთაგანი არის უფლებათა დოქტორი—ქ-ნი ფაუსეტი ფემინისტებთა მოძრაობის ბელადი ინგლისში. მის გვერდით ძალაზე მოხუცი ქალი,—ეს—სამოცდაათი წლის ემილია დევისია, რომელმაც პირველმა 1866 წ. გადასცა მილლს პეტიცია ქალთა საარჩევნო უფლებისათვის. მიუხედივათ თავის ხნოვანობისა ემილია დევინს სურს წავიდეს ფეხით ერთათ პროცესიასთან ალბერტის დარბაზამდე ($3^1{}_2$ ვერსია). შემდეგ მიყვება დროშები მეომარი ქალების სახელებით. დროშას ქვეშ ჟანნ დარკის სახელით და დევიზით „sans ren et sans reproche" (უშიშარათ და უმოკრძალებოთ), სდგანან მანიფესტანტები შავ მანტიებსა და შავ ბერტებში (ქუდი) მრგვალი პრტყელი თავით, ყველა ეს—სხვა და სხვა უნივერსტეტის ბაკალავრებია. უმეტეს ნაწილათ აქ უფრო ახალგაზდა სახეებია ენერგიული, გაბედული და გაფურჩქვნილი ჯანსაღობით, უმთავრესათ ჯანსაღი პირები გხვდება აქ სტუდენტ ქალებ შორის. ქალებს შავ მანტიაში აღარ სჭირიათ მეტი მოიმოქმედონ ჟანნ დარკის გმირობა, მაგრამ მათი სახის გამომეტყველება ამცკიცებს, რომ ისინი მზათ არიან „Sans peur et san reproche" მოიპოვონ პოლიტიკური სწორუფლებიანობა. მე მივდივარ ნაპირის ქუჩით და ვკითხულობ დევიზებს დროშებზე.

„სახლი—ქალის საპყრობილეა, ამბობს ერთი წარწერა, ქალთა კითხვა ვერ გადაწყდება მანამ, სანამ ქალს არა აქვს საარჩევნო უფლება". „ერთგულათ და პატიოსნათ ვქსოვთ ჩვენ ინგლისის ბედ-იღბლის ბადეს." ეს—დროშა ჰაზლემურიდან, მოქარგულია მუშა ქალების მიერ. „მანჩესტერი ამბობს: ეხლა ან არაოდეს", „ნიუკსტელი თხოულობს საარჩევნო უფლებას". სტრატფორდ-აეონის დროშაზე აწერია: „ყოფნა—არყოფნა". დევიზი ერთ დროშაზე ამბობს: „ძველი წესები იცვლება". მემარცხენე სუფრაჟი ტებიდან პროცესიაში მონაწილეობას იღებდა მხოლოთ ქალთა განთავისუფლების ლიგა. ღ ნარჩენნი აწყობენ უზარ-მაზარ მიტინკს ჰაიდ-პარკში 21 ივნისისთვის. „გაბედე იყო თავისუფალი", ამბობს ერთი დროშის წარწერა. განთავისუფლების ლიგას მიჰყვებოდენ კონსერვატორი-ქალები თვისი დროშით. დროშები გვიჩვენებდა, რომ პროცესიაში მარტო ინგლისელი ქალები არ იღებდენ მონაწილეობას. ამერიკელმა ქალებმა გამოგზავნეს სამი დროშა ქალთა უფლებებისათვის მებრძოლთა სახელების ზე-წარწერით. ავსტრალიამ გამოგზავნა ერთი დროშა. ერთ დროშის ქვეშ მიდიოდნენ კონტინენტალური სახელმწიფოების დელეგატი ქალები. მთელ სივრცეზე ტროტუარი გაჭედილი იყო მაყურებლებით. კაცებზე დემონსტრაციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იმ პირთ, რომელნიც დაჩვეულან მოვლენის დაფესებას, ესმოდათ, რომ ასეთი უზარ-მაზარი მოძრაობის შეჩერება აღარ შეიძლება.

დროშების დევიზები აცხადებენ: „ვაი რყევაში მყოფს", „შეუპოვრობა ყველაფერს დასძლევს", „განაგრძეთ იყოთ შავ-ჭირათ"! ეს უკანასკნელი დევიზი ეხებოდა ერთ-ერთ მინისტრს, რომელმაც სუფრაჟისტები შეადარა შავ ჭირს... მანიფესტანტებმა გაიარეს, მაგრამ პროცესია ჯერ მაინც არ გათავებულა. განუწყვეტელ ხაზივით მიდიან კარეტები, ავტომობილები და ეტლები ფემინისტებით. პირველ ეტლში ისხდნენ დ-რი ანნა შოუ და მისს ენტონი. პირველი მღვდელი-ქალი ამერიკიდან (ეხლა იქ 400-ზე მეტია მღვდელი ქალი). მისს ენტონი— შვილის შვილია სუსანნი ენტონისა, რომელმაც პირველმა აღიმაღლა ხმა ქალთა უფლებების დასაცავათ. მეორე კარეტაში მიდიოდა ქ-ნი მაკკულოხი, მომრიგებელი მსაჯული შეერთებულ შტატებში.

გუშინდელმა მანიფესტაციამ აშკარათ დაამტკიცა, რომ კითხვა ქალთა ემანსიპაციის შესახებ ინგლისში აღარ შეიძლება გადაიდვას. შეიძლება მისი გადაჭრა ჩვენ ვნახოთ 1909 წელს.

დიონეო.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ		7 მ.	—	კ.
ნახევარ წლით	— —	3 მ.	—	კ.
სამითვით	— —	1 მ.	60	კ.
საზღვარ გარეთ ერთიწლით		7 მ.	—	კ.
ნახევარ წლით	— —	4 მ-	—	კ.
სამი თვით	— —	2 მ.	—	კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური

ხელისმოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი" მადათოვის კუნძული ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ книжный магазинъ „Сорапань" (Мадат. остров) Рахиль Каландадзе

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და დიდი წერილები.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი", მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.